რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 12 ოქტომბერი 1917 წ.

ერთობა

ფასი 12 კაპ.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 2 მან. 60 კაპ., ორი თვით 5 მ. 20 კ., სამი თვით 7 მან. 80 კ., ოთხი თვით 10 მ. 40 კ. ცალკე ნომერი ყველგან 12 კ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—50 კაპ., მეოთხე გვერდზე—25 კაპ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 6 მ. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 სათ. საათისა. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Редакция „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 168 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 168

ამხანაგებო და მოქალაქენო!

რ. ს.-დ. მ. პარტიის თფილისის კომიტეტმა უკვე დაიწყო დამფუძნებელი კრების კამპანია. დააჩქარეთ გაიღოთ თქვენი წვლილი საარჩევნო ფონდისათვის. შემოწირულებას მიიღება, როგორც თფილისის კომიტეტის ბიუროში, გოლოვინის პროსპექტი № 12, მდივანთან, აგრეთვე ყველა რაიონულ კოლექტივებში.

თფილისის კომიტეტი რ. ს.-დ. მუშათა პარტიისა.

ქ. ქიათურაში, ხან-მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ელექტრო-ტეხნიკოსი

სარდიონ გიორგის ძე ტყემალაძე,

რასაც აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და ამხანაგებს გულმოკლულნი მშობლები: გიორგი და ანუსია, ძმები: კოლია და ვალიკო, და ცეცილია, ბიცოლა კატო თავის შვილებით შუშანიკი და თამარით ტყემალაძეები. მამიდები: ვარლო ბურძენიძისა და ლიზა გეშაპიძისა. დაკრძალვა დღეს, 12 ოქტომ. სოფ. ქორეთაში (შორ. მაზრა)

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე სარა. მშობლები: მინა და ფილიპე, ძმები: მიხაკო, ასლან და პოლიკარპე დოლიძეები. სიდედრი საითი და ცოლის ძმა გერასიმე თავართქილაძეები, აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ერზერუმში ხან-მოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაიცვალა

ვიქტორ ფილიპეს ძე დოლიძე.

დასაფლავება მოხდება სოფ. ამაღლებაში (გურია) დღეს 12 ოქტომბერს.

ბიურო

მეოთხე რაიონულ კოლექტივის რ. ს.-დ. მ. პ. მოთავსებულია მე 6 სავაჟო გიმნაზიაში (შილლერის ქ. № 8) აქ შეიძლება გამოწერა გაზეთებისა: „ერთობა", „ბორბა" და „ფაიქარი". იყიდება სხვა და სხვა ბროშიურები. ბიურო ღიაა ყოველ-დღე: 4-დან 8 ს-დე.

ჩერქეზიშვილის მოედანზე, ყოფილ სადარაჯოში ნემცევის სკვერთან მოთავსებულია რ. ს.-დ. მ. პ. მეცხრე უბნის კოლექტივის

ბიურო და კიოსკი

სადაც შეიძლება პარტიის წევრათ ჩაწერა, მიიღება ხელის მოწერა გაზეთებზე: „ერთობა", „ბორბა" და „ფაიქარი" იყიდება გაზეთები და წიგნები. ბიურო ღიაა საღ. 6—9 საათამდე.

საოლქო კომიტეტის გამოცემანი.

(საოლქო კომიტეტის ბიურო, გოლოვინის პროსპ. № 12).

1.	ს. დ. პ. პროგრამა ქართულად	10 კ.
2.	ს. დ. პ. პროგრამა რუსულად	10 „
3.	ს. დ. პროგრამა სომხურად	10 „
4.	ს. დ. პროგრამა თათრულად	10 „
5.	მუნიციპალური პროგრამა რუს.	5 „
6.	მუნიციპალური პროგრამა ქართ.	5 „
7.	ძირს სოც. დემ. ბრალები რუს.	20 „
8.	სოც.-დემ. და ქალაქის თვითმართველობა რუსულად	20 „
9.	[illegible] წიგნაკი ქართულად	20 „
10.	ოთხი ძმა ქართულად	35 „
11.	კომუნისტური მანიფესტი რუს.	20 „
12.	კომუნისტური მანიფესტი ქარ.	25 „
13.	დემოკრატიული რესპუბლიკა ქარ.	25 „
14.	დამფუძნებელი კრება რუსულ.	25 „
15.	ნ. ჟორდანია—ნაც. კითხვა ქართ.	30 „
16.	კრიტიკა აგრარული პროგრამისა პ. მასლოვისა, რუს. ენაზე ფასი	15 „
17.	უწყება, მე-6 საოლქო თავყრილობისა (კონფერენციისა) რ. ს.-დ. მ. პ. ქართ. ენაზე ფასი	25 „
18.	იგივე უწყება რუსულ ენაზე ფასი	20 „
19.	დროებითი წესები ქალაქის სახ. ხმოს. არჩევნებისა ქართ. ფასი	10 „
20.	რა უნდათ სოციალ-დემოკრ. რუს.	20 „
21.	რა უყოთ მიწას პ. მასლოვისა, რუს.	
22.	საფრანგეთის რევოლუცია 1848 წ. ნ. ჟორდანიასი ფასი	65 „

იბეჭდება და მალე გამოვა:

1. ერფურტის პროგრამა კ. კაუცკისა.

ფული და წერილები მიიღება შემდეგი ადრესით: Тифлисъ Бюро областного комитета закавк. организацiи Р. С. Д. Р. П. Головинскiй № 12.

ამასთანავე ვაცხადებთ: პროვინციულ ორგანიზაციებს დაეთმობათ, რომლებიც 50 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს ოცი პროცენტი იქ სადაც ბაგაჟით არ შეიძლება გაგზავნა, არამედ ფოსტით უნდა იქნას გაგზავნილი, პროცენტი ეთმობათ 15 კ. მანეთზე. ფული უნდა იქნას წინდაწინ გამოგზავნილი, ფასდადებით ბროშიურები არავის გაეგზავნება.

ამხანაგებო! გამოიწერეთ ბროშიურები, გაავრცელეთ ხალხში, რომ ამით საშუალება მოგვეცეს სხვადასხვა ახალი ბროშიურები გამოვცეთ და გავავრცელოთ ხალხში.

ერევნის ორგანიზაცია

რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიისა იმყოფება. ასტაფიევის ქუჩა № 31. ღიაა 10—12 საათამდე დღით და 6—8 საათამდე საღამოთი.

საჭიროა გაზეთის დამტარებლები

ხელის მოსაწერლებისათვის.

მსურველს შეუძლია მიმართოს რ. ს.-დ. მ. პ. თფ. ორგ. მეორე რაიონის კოლექტივს მდივანს დილის 9—2 ს. დე და საღ. 5—8 ს. დე.

კოოპერატივები და საარჩევნო სამზადისი

რუსეთის კოოპერატივთა ყრილობამ გადასწყვიტა საარჩევნო კამპანიაში ენერგიულათ ჩაერიოს. თავის თავად ცხადია, ასეთ გადაწყვეტილებას უნდა სიხარულით მივეგებოთ. კოოპერატივები ერთი ძველი ორგანიზაციათაგანია, რომელსაც ღრმათ ჰქონდა გადგმული ფესვები მასსაში ჯერ კიდევ რომანოვების მეფობის დროს. ამიტომ ასეთ ორგანიზაციის ჩარევა არჩევნებში, ეჭვი არაა, საჭიროა სიცოცხლეს შეიტანს მასსაში და ამით აბსენტიზმს, რომელიც დემოკრატიის დამღუპველია, შეასუსტებს. მაგრამ თუ ასეთია მნიშვნელობა არჩევნებში ჩარევის პრინციპისა, ესევე არ ითქმის იმ ფორმაზე, რომელიც კოოპერატივების ყრილობას მიუღია არჩევნებში ჩასარევათ.

კოოპერატივები თავის თავათ დემოკრატიული ორგანიზაციებია. ამ დაწესებულებებში თავმოყრილია მასსა, ხალხი, მდაბიო მოქალაქე, ქონებას და შეძლებას მოკლებული, ღარიბი ნაწილი საზოგადოების. ამიტომ მათი მონაწილეობა არჩევნებში ნიშნავს ამ ხალხის მონაწილეობას. მაგრამ ამ ორგანიზაციას აქვს მეორე თვისებაც, იგი ეკონომიური ორგანიზაციაა. მისი მთავარი მიზანი, და აქედან პრინციპი მისი შემადგენლობის, არის დაცვა მომხმარებელთა ეკონომიურ ინტერესების; ამ ნიადაგზე მასში ერთდებიან და კავშირდებიან არა პოლიტიკური რწმენის მიხედვით, არამედ ეკონომიურის მოსაზრებით. პოლიტიკური რწმენა მისი წევრების კი ერთმანეთისაგან შეიძლება დიამეტრიულად ეწინააღმდეგებოდეს ერთი მეორეს.

არჩევნები კი და, განსაკუთრებით, არჩევნები დამფუძნებელ კრებაში, წმინდა პოლიტიკური ხასიათის მოვლენაა. აქ მთავარი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ რწმენას, მიმართულებას, პროგრამას და არა სამეურნეო საქმეთა წარმოებას.

ცხადია, კოოპერატივებს, როგორც ორგანიზაციას, ასეთ პრინციპზე თავის მოქმედების აგება არ შეუძლია. იგი ამით მხოლოდ დეზორგანიზაციას შეიტანს თავის წევრებში, ორ სკამზე დაჯდომის მაგიერ, ვერც ერთზე ვერ დაჯდება და მხოლოდ ზარალს მოუტანს არჩევნებსაც და თვით კოოპერატივის მოძრაობასაც.

სრულიად რუსეთის კოოპერატივთა ყრილობა კი ვერ ასცდა ასეთ ორჭოფობას. მისი დადგენილებით კოოპერატივები უნდა შეუთანხმდენ რომელიმე ფრაქციას, ან პარტიას და მასთან ერთათ გამოვიდნენ, ე. ი. უნდა შეკრან ბლოკი პოლიტიკურ პარტიასთან ან ყველა შეერთებულ სოციალისტურ პარტიებთან ერთად.

ამაში უკვე სჩანს სურვილი ერთგვარი პოლიტიკური კონტრაგენტათ გამოსვლის. კოოპერატივი, როგორც მთელი, როგორც განსაკუთრებული ორგანიზაცია უკავშირდება ამა თუ იმ პარტიას, მაგრამ შეთანხმება ნიშნავს პროგრამებში შეთანხმებას, ხოლო კოოპერატივებს ხომ პოლიტიკური პროგრამა არა აქვთ. და აი ყრილობა იძლევა პოლიტიკურ დირექტივებს არ შეურიგდნენ „პორაჟენცებს" და ანარქიის მქადაგებელთ. მაგრამ განა ასეთი დირექტივები კმარა შეთანხმების მოსაწყობათ? რასაკვირველია არა.

ამას გრძნობენ თვით დადგენილების მომხრენი და ამიტომ უმატებენ: თუ შეთანხმება არ მოხერხდა, ადგილობრივ ორგანიზაციებს უფლება აქვს საკუთარი სიები წამოაყენოს.

ამნაირათ ერთი შეცდომა იწვევს მეორეს. წმინდა პოლიტიკურ ორგანიზაციის როლში გამოსვლის სურვილმა თავის ლოღიკურ დასკვნამდე მიიყვანა კოოპერატივები. მათ უარყვეს ძველი ნაცადი პრინციპი პარტიული ნეიტრალობის და პოლიტიკური აქტივობის შეერთების, მათ უარყვეს ის გზა, რომელიც იცავს ამ ეკონომიურ ორგანიზაციის მთლიანობას და იმავ დროს საშუალებას აძლევს მის წევრთ მხურვალე მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

და აი, ამიტომ ჩავარდენ ასეთ გამოუვალ წინააღმდეგობაში. ძნელია იმის წარმოდგენა, სადამდე მიიყვანს კოოპერატივებს ასეთი შეცდარი ნაბიჯის გადადგმა, რადგან ზარალს მოუტანს იგი თვით კოოპერატივებს, ხოლო რომ იგი ოდნავ სარგებლობასაც არ მისცემს დემოკრატიას, მის მწყობრ მოქმედებას, ეს თავის თავად ნათელია. ვერავითარი სახელდახელო დეკლარაციის შემუშავება, მიწის, ომის და სხვა მიმდინარე საკითხების აღნუსხვით, ვერ გამოასწორებს ამ ყალბი ნაბიჯის შედეგებს. დამფუძნებელი კრება მიმდინარე კითხვებისათვის არ იკრიბება. მისი მთავარი დანიშნულებაა ძირითად კანონების შემუშავება, ე. ი. ახალი სახელმწიფოებრივი ფორმის შექმნა. ყველა ეს კიდევ უფრო ართულებს საკითხს.

ამიტომ ჩვენი აზრია, კავკასიის კოოპერატივები არ უნდა გაჰყვენ რუსეთის ყრილობის მოლიპულ გზას.

მათ უნდა მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში და ურჩიონ თავის წევრთ ისეთ პარტიებს და კანდიდატთა სიებს მისცენ ხმა, რომელნიც მტკიცეთ იცავენ და დაიცავენ მომავალშიაც დემოკრატიის, მასსის, და მისი ავანგარდის მუშათა კლასის ინტერესებს.

ასეთი პარტიები ყველაზე უფრო უზრუნველყოფენ საკანონმდებლო ორგანოებში თვით კოოპერატივთა ინტერესების დაცვასაც, როგორც დემოკრატიული დაწესებულებისა. ამით კოოპერატივები კიდევ უფრო დაუახლოვდებიან ხალხს, შექმნიან მასში პოლიტიკურ ინტერესს და ამავე დროს დაიცავენ თავის ორგანიზაციულ მთლიანობას.

ხმის მიცემა მუშათა პარტიისთვის, რომელიც საუკეთესოთ იცავს დემოკრატიის ინტერესებს და კოოპერატივის ინტერესებსაც—ასეთი ლოზუნგით უნდა გამოვიდენ კოოპერატივები.

შრომის ბირჟა

მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებში დაწინაურებული ქვეყნების მუშათა კლასმა სოციალ-პოლიტიკურ ნიადაგზე მრავალი ნაბიჯები გადადგა და სხვადასხვა ტიპის სოციალური ინსტიტუტები დაარსა. ასეთ ინსტიტუტთა შრომის ბირჟაც უნდა ჩაითვალოს, დაქირავებული [illegible] მის დაარსებას მოითხოვენ.

შრომის ბირჟის დაარსება თანამედროვე საწარმოვო ძალთა განვითარების, კაპიტალისტური წარმოების წესის აღორძინების შედეგია და აუცილებლობას ვერც ერთი ქვეყნის მუშათა კლასი ვერ წაუვა.

აბსოლიუტური წყობილების ხანაში მის არსებობაზე ლაპარაკიც კი მეტი იყო და იგი თანამედროვე სახით ვერ იქნებოდა დაყენებული. წინათ შრომის ბირჟა, ეს დიდი სოციალური დაწესებულება უბრალო შრომის კანტორის ჩარჩოებს არ შორდებოდა და მას რუსეთის ეკონომიურ ცხოვრებაში, შრომის გამოძებნისა და განაწილების სფეროში არავითარი როლი არ უთამაშია. მხოლოდ როცა ძველი წყობილება დაინგრა და მუშათა კლასის სოციალ-პოლიტიკურ მოქმედებას ფართო სამოქმედო ასპარეზი გაეხსნა—დროებითმა მთავრობამ შრომის სამინისტროს განსაკუთრებულ კომიტეტში მესამე კანონ-პროექტათ შრომის ბირჟის კანონ-პროექტი შეიტანა. დასახელებულ პროექტის მეოხებით საერობო, საქალაქო და საზოგადოებრივ თვითმართველობებს დაევალათ შრომის ბირჟები დაარსებინათ და ამ საზოგადოებრივი დაწესებულების ეკონომიური ხარჯების ერთი ნაწილი, უკეთუ ამა თუ იმ ქალაქის თუ ერობის მცხოვრებთა რიცხვი 50.000 სულს არ აღემატებოდა, სახელმწიფოს გადაეხადა. შრომის ბირჟის საზოგადოებრივი სამსახური, როგორც დამქირავებლებისათვის—ისე დაქირავებულთათვის უფასოა და ამავე დროს იგი ნეიტრალური დაწესებულება უნდა იყოს, ე. ი. შრომის ბირჟა გაფიცვებისა და ლოკაუტების დროს მონაწილეობას არ იღებს და არცერთ მხარეს მხარს არ უჭერს. ბირჟის მართვა გამგეობა შერეულ კომიტეტის ხელშია. იგი პარიტულ პრინციპზეა აშენებული: კომიტეტში დამქირავებლებიდან და დაქირავებულებიდან თანასწორი წარმომადგენლები შედიან და ესენი ერთ ნეიტრალურ თავმჯდომარეს ირჩევენ.

დასახელებული კანონპროექტის მეოხებით თფილისის თვითმართველობას საშუალება მიეცა ახლა შრომის ბირჟა ფართო ნიადაგზე დაეყენებინა და საბჭომაც თავის უკანასკნელ სხდომაზე გადასწყვიტა დაარსოს იგი. ამიერიდან თფილისის შრომის ბირჟა უმუშევართათვის შრომის მოძებნაში, მომუშავეთა სხვადასხვა წარმოების დარგების განაწილების საქმეში დიდ როლს ითამაშებს. თფილისის მომავალი შრომის ბირჟა ის აღარ იქნება, რაც იგი ძველი ცენზიანი საბჭოს დროს იყო. იგი ახალ პრინციპზე აშენდება და როგორც დამქირავებლებს, ისე დაქირავებულთ დიდ სამსახურს გაუწევს.

განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში, როცა მრავალი მუშა ხელი დემობილიზაციის მეოხებით ბრძოლის ველიდან დაბრუნდება და შრომის ბაზარზე უმუშევართა რიცხვმა უკვე საგრძნობლათ იმატა. უმუშევართა რიცხვი უფრო გადიდდება, როცა ამ კატასტროფის დამღუპველ მსოფლიო ომს ბოლო მოეღება. ბრძოლის ველიდან საერთოთ მცხოვრებთა 30 პროცენტი მამაკაცი უკან დაბრუნდება და ჩვეულებრივ სამუშაოს მოითხოვს. ეჭვს გარეშეა—ასეთ პირობებში შრომის ბირჟის დაარსება აუცილებელი და იგი უმუშევართათვის შრომის გამოძებნის საქმეში დიდ მნიშვნელოვან ინსტიტუტათ გადაიქცევა. გადაიქცევა უმთავრესათ იმიტომ, რომ იგი ერთგვარი ინსტიტუტი იქნება, რომელიც სწორ და სამართლიან პარიტეტიულ პრინციპზეა აშენებული. აქ არც ერთი მხარე არ იქნება დაზიანებული, ვინაიდან დამქირავებლებსა და დაქირავებულთა ბირჟის მართვა-გამგეობის საქმეში თანასწორი წარმომადგენლები ეყოლებათ. თანასწორი წარმომადგენელთა გადაწყვეტილება და მათ მიერ მუშა ხელის სხვადასხვა დარგებში განაწილება ორივე მხარისათვის სავალდებულო იქნება. არ შეუძლია არც მუშას და არც ამა თუ იმ წარმოების დარგის პატრონმა შრომის ბირჟის კომიტეტის გადაწყვეტილებაზე უარი განაცხადოს. მუშა მიდის იქ, სადაც [illegible] ნიშნავენ და მწარმოებელიც [illegible] მას, ვისაც უნიშნავენ.

ამ სახით თფილისის მომავალი შრომის ბირჟა უმუშევართა საქმეში დიდ წეს-რიგს შეიტანს, უმუშევრებს სხვადასხვა დარგებში დაანაწილებს და მით წარმოებას ჯეროვან ნიადაგზე დააყენებს. უმუშევრობასა და სხვადასხვა წარმოების დარგების უმუშახელოთ დარჩენას საგრძნობლათ ბოლო მოეღება და უმუშევართა არმია საგრძნობლათ შემცირდება. უკანასკნელი გარემოება კი ჩვენს პოლიტიკურსა და ეკონომიურ ცხოვრებაში დიდ როლს ითამაშებს და სარეზერვო არმია, რომელიც მუდამ რეაქციონურ მოძრაობას იწვევს, თვალსაჩინოთ შემცირდება.

კიდევ ერთი ნაბიჯი

საერთაშორისო დემოკრატიაში ზავის ლოზუნგმა ნიადაგი მოიპოვა და მეომარ სახელმწიფოების სოციალისტური პარტიები მას პირველ რიგში აყენებენ.

რუსეთის დემოკრატია გამოცალკევებული არ რჩება; მის ზავის პირობებს საფრანგეთის სოციალისტური პარტია გამოეხმაურა, უკანასკნელებს გვერდში ამოუდგა გერმანიის სოციალ-დემოკრატები და თავიანთ ვიურცბურგის პარტეიტაგზე იმპერიალისტურ ჯავშნიან პოლიტიკას ბრძოლა გამოუცხადეს. მართალია იქ ოპორტუნისტების მეოხებით სამხედრო კრედიტის მიცემის საქმეში გაბედული ნაბიჯი არ გადაუდგამთ და რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის წევრებს უფლება მიეცათ კრედიტების მიცემის დროს როგორც უნდათ ისე იმოქმედონ, მაგრამ მაინც თამამათ ითქმის, რომ გერმანიის სოციალისტები ამ ბოლო დროს გამოფხიზლდენ და მთავრობის საგარეო პოლიტიკას ბრძოლას უცხადებენ. ბრძოლას უცხადებენ აგრეთვე შინაურ პოლიტიკაში და დასახელებულ პარტეიტაგზე შეიდემანმა მოითხოვა გერმანიაში დემოკრატიული წყობილება დაარსდეს.

ახლა ავსტრია-უნგრეთის სოციალ-დემოკრატებმა ავსტრიის დედა ქალაქ ვენაში პარტიული ყრილობა გახსნეს და როგორც სააგენტოს დეპეშები იტყობინება, მათ ზავის საკითხი პირველ რიგში დაუსვამთ.

ეჭვს გარეშეა ავსტრია-უნგრეთის პროლეტარიატი ომის საშინელებამ მეტათ შეაწუხა, ვიდრე გერმანიის მუშათა კლასი და ამიტომაც არის ავსტრიის სოციალისტები დაუყონებლივ ზავის მომხრეთ გამოდიან. დიდი ხანია იქ ეკონომიური კრიზისი და პოლიტიკური ვერაგობა უმაღლეს წერტილამდის მივიდა, მთელი მუშათა კლასი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. ამ გარემოებით აიხსნება ფრიდრიხ ადლერის ტერორისტული აქტი და მისი იარაღით ხელში გამოსვლა. ნივთიერ კრიზისთან ერთათ, ძლიერდებოდა ჰაბსბურგის სასახლის უკიდურესი რეპრესიები და მთავრობასა და ხალხს შორის უკმაყოფილება მწვავდებოდა. აი ეხლა, როცა ეს უკმაყოფილება უფრო გაღრმავდა, როცა ავსტრია-უნგრეთის პროლეტარიატს რუსეთის რევოლიუციის მეოხებით წინააღმდეგობის უნარი მოემატა—უკანასკნელები ზავის საკითხს პარტიულ ცხოვრებაში ოფიციალურათ აყენებენ. შეიცვალა საერთაშორისო მდგომარეობა და თვით ავსტრიის შინაურ ცხოვრებაშიაც დიდი ცვლილება ხდება. სოციალ დემოკრატია ახლა იქ ხმას იღებს და საერთაშორისო დემოკრატიის ზავის მოთხოვნას მხარს უჭერს. ჩვენ ჯერ არ ვიცით ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტია ვენის პარტიულ ყრილობაზე რა გზას დაადგება, რა პრაქტიკულ ზომებს გამოიმუშავებს, მხოლოდ ეს კი აშკარაა, რომ იგი დაუყონებლივ ზავის ჩამოგდების მომხრეა და მას მთელი თავისი ძალ-ღონით ესწრაფვის. ზავის ჩამოგდება საერთაშორისო პროლეტარიატის საქმეა და უკანასკნელიც ამ ნიადაგზე მედგრათ ამოქმედდა.

საერთაშორისო ომი

რუსეთისა და გერმანია-ავსტრიის მთელ ფრონტზე კარგა ხანია შეტაკებები შესწყდა; აქა-იქ მხოლოდ მოწინავე რაზმები იბრძვიან.

ბალტიის ზღვაზე დროებით სიწყნარეა. გერმანიის ფლოტი შეეცადა ვერდერის ნახევარ კუნძულის ჩრდილოეთით, ესკიულის რაიონში დესანტის გადმოსხმას, მაგრამ ცდამ უნაყოფოთ ჩაიარა.

საფრანგეთში—ინგლისის მთელ ფრონტზე საარტილერიო სროლა გაცხოველდა.

საფრანგეთის ფრონტიდან ცნობა არ მოსულა.

იტალია-ავსტრიის ფრონტზე ჩვეულებრივი სროლაა.

პრესა

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს რუსეთში ანარქიის გაძლიერება. წვრილ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ეს არც გასაკვირია. საერთოთ ამ კლასის თვისებაა ანარქიული გამოსვლები, გაბრაზებული თავდასხმა, აწიოკება და ან პირიქით სრული—პასივობა, დუმილი, გულჩაკლული წუწუნი თავის უმწეო მდგომარეობაზე. ასეთია ფსიხოლოგია, შუათანა წრეების.

მარა სამწუხარო ისაა, რომ ეს წვრილ ბურჟუაზიული ფსიხოლოგია, ფსიხოლოგია ანარქიული გამოსვლების, ჯერ კიდევ არ გამქრალა მუშათა კლასშიაც, რომელიც სწორეთ ამ წვრილ ბურჟუაზიულ წრიდან არის გამოსული და თან მისი ფსიხოლოგია აქვს შემოყოლილი.

კლასობრივი შეგნება და კლასობრივი ორგანიზაცია—ჯერ კიდევ არ შესისხლხორცებია ფართო მასსას, ამიტომ გასაკვირი არაა, როცა ასეთ ამბებს ვხვდებით:

„ხარკოვში ატუსაღებენ დირექტორებს და საზოგადოთ ქარხნის ადმინისტრაციას. მუქარით აიძულებენ მათ მუშათა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, ხოლო როცა ქარხნის პატრონები არ ამტკიცებენ დირექტორის დადებულ პირობას, მუშები ფაქტიურათ ცდილობენ მთელ ქარხნის ხელში ჩაგდებას. ეკატერინოსლავში უფრო შორს მიდიან—და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტთა კონფერენციას გამოაქვს საერთო რეზოლიუცია, რომელიც ურჩევს მუშებს ქარხნების და ბანკების კონფისკაცია მოახდინონ“. (რაბ. გაზ. № 177).

ამ მოქმედებაში გარდა მასსის შეუგნებლობისა, დაკვირვებული მკითხველი ადვილათ შეამჩნევს ბოლშევიკების აგიტაციის გავლენას, ეს უკანასკნელნი მასსის ინსტიქტებს აღიზიანებენ, მათ მაღალ სიტყვათა რახა-რუხით აბრმავებენ, ანარქისტულ მოქმედებას იდეიურ სამოსელში ხვევენ და ასე მასსას ერთიანათ შეუკავშირებელ, მოუფიქრებელ და არსებითათ მავნებელ მოქმედების გზაზე აყენებენ.

„ამ მოძრაობის სათავეში გუშინ ბოლშევიკები იდგნენ, მარა დღეს მოძრაობის ტალღამ მათ თავზე გადუარა.

როცა ბოლშევიკების რევოლიუციონურ მოძრაობის წარმომადგენლები ხარკოვში მიდიან ქარხნებში და ურჩევენ მუშებს დაპირილ დირექტორების განთავისუფლებას—მათ პასუხათ ესმით: „როგორც თქვენ ერთად-ერთი მთავრობა ხართ ქალაქში, ისე ჩვენ ერთად-ერთი ძალა-უფლების მატარებელი ვართ ქარხნის ტერიტორიაზე“. ეკატერინოსლაველები თავის ემისართ ირჩევენ არა ბოლშევიკს, არამედ ანარქისტს, როგორც უფრო „სანდოს“. მანქანების ამშენებელ ქარხანაში ხარკოვში, ბოლშევიკ დელეგატებს, რომელთაც (სრულიად რუსეთის მეტალისტთა ცენტრ. ბიუროს თანხმობით) ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, სადაც მცირეოდენი დათმობა იყო პირვანდელ წამოყენებულ რეზოლიუციების—ამ ბოლშევიკებს მუშები რამდენიმე საათი ასამართლებდნენ და ვერ გადაეწყვიტათ, რა სასჯელით დაესაჯათ ეს მუშათა „მოღალატენი“ და „გამყიდველნი“. ეს დემაგოგიური ფრაზები ახლა მათვე მიუბრუნეს მათგან გაბრიყვებულმა მუშებმა“.

ამრიგათ ბოლშევიზმმა ხელი შეუწყო ისეთ ანარქიის გაზრდას, რომელსაც ახლა თვითონვე უფრთხის, მარა გვიანღაა. მუშები უკვე მათაც „მოღალატეთა“ სიაში ათავსებენ.

რევოლიუციური მოძრაობა ამ მხრით შეუბრალებელია. მან არ იცის დანდობა. იგი სტიქიური სიძლიერით მიექანება წინ და მისი შეჩერება არავის არ ძალუძს, პარტიული დემაგოგები მხოლოდ იმაში არიან დამნაშავე, რომ ამ სტიქიას ორგანიზაციულ და იდეიური შესაძლებლობის ნაცვლად პირფერობით ხოტბას ასხამენ და ამით კიდევ უფრო აძლიერებენ.

თავისთავად მუშათა ასეთი მისწრაფება ქარხნების დატაცებისაკენ ჩვენ არ გვიკვირს, ამაში ორი მხარე სჩანს: ერთი შეუგნებლობა მუშათა მასსის, უცოდინარობა კლასობრივი გზის, შეკავშირებული, მოფიქრებული, მიზანშეწონილი მოქმედების, მეორე მუშათა კლასის აუცილებელი ტენდენცია, შეუჩერებელი მიდრეკილება გადასცილდეს ბურჟუაზიულ საზოგადოების საზღვრებს, გაარღვიოს კედლები დაქირავებულ შრომის სისტემის და ასე სრული თავისუფლება მოიპოვოს. ეს ასე ვთქვათ შეუგნებელი სოციალისტური მისწრაფებაა, რომელიც ამიტომ ანარქისტულ ფორმაში იხატება და სასტიკ დამარცხებას უქადის მუშათა კლასს. ეს დამარცხება იქნება იმავე დროს დამარცხება ამ ძირითად ტენდენციის, რომელიც მასსშია დამარხული. იმედგაცრუებული, მოტყუებული, დაღუპული მუშათა კლასი ამის შედეგათ დიდი ხნით შეიძულებს თვით იმ მოძღვრებას, რომელსაც იგი მიაწერს თავის დამარცხებას. აი ამ ნაირათაც არის საშიში ანარქია მუშათა კლასში: იგი ახრჩობს და კლავს რევოლიუციას, ახშობს და აჩერებს ამავე დროს მუშათა კლასის სოციალისტურ მომავალს.

ეს უნდა კარგათ ესმოდეს მუშათა ინტერესების დამცველ პარტიას. ეს უნდა გაითვალისწინონ ყველა მოწინავე მუშებმა. მათი ვალია ყოველი საშუალებით სიტყვით, საქმით, რჩევით, ორგანიზაციით შეებრძოლონ ამ სტიქიის მღელვარებას და მუშათა კლასის ბუნებრივ უკმაყოფილებას, მათ წყურვილს ბრძოლისა და წინმსვლელობისას, დაუშრეტელ ენერგიას, სხვა უფრო სასარგებლო გამოსავალი მისცენ, სხვა მიზნებისაკენ მიმართონ.

⁂

„სახალხო საქმე“-ს კალმოსნები ეს ერთი ხანია წელმა უკუღმა ატრიალებენ საკითხს ინტერპარტიულ საბჭოს შესახებ. ამის შესახებ არც სხვა პარტიებს და მიმდინარეობებს შეუნახავს დუმილი.

მარა თუ ეს უკანასკნელნი უმთავრესათ ასეთ საბჭოს დაარსებას გმობდენ და აუგებდენ, სამაგიეროთ ფედერალისტები მის გამო სიხარულით ცას ეწეოდენ. ამ საბჭოს განვითარებას და მისი თითქმის ქართულ მთავრობათ გადაქცევას აპირებდენ.

ხოლო როცა სოციალდემოკრატია მათ აურ-ზაურს არ აყვა და მოისურვა საბჭოსთვის ისეთი ადგილი მიეჩინა, როგორც მას ეკუთვნის, არც მეტი არც ნაკლები, ეს ვაჟბატონები აბმაურდენ და თავის „ლაშქარი“ აამუშავეს. მათი ლაშქრობის მთავარი ფარხმალი ინსინუაციაა. და აი ქულით კიდეც ხელში ეს სანაქებო იარაღი:

„როგორც ეტყობათ, ფ. მახარაძისებურმა გამოსვლამ შეაშინა „მენშევიკები“ და ცდილობენ თავი იმართლონ და თვითონვე იერიში მიიტანონ ინტერპარტიულ საბჭოზე, რადგანაც მათ „ინტერნაციონალურ“ კავკასიის საოლქო ყრილობაზე უკვე „შეკითხვა“ შეუტანიათ **რუსებს, სომხებს და სხვ. ამხანაგებს“** (ხაზი ჩვენია) ესეც საკმაოთ ახასიათებს „მენშევიკების“ უმწეო მდგომარეობას“.

როგორც ვიცით, ინტერპარტიულ საბჭოს შესახებ მსჯელობა იქონია ხელმძღვანელმა დაწესებულებამ ჯერ კიდევ ყრილობის წინ რამოდენიმე კვირით და დაადგინა დროებით ამ საკითხის სავსებით გამორკვევამდე ამ საბჭოში თავის წარმომადგენლები არ გაეგზავნა. კითხვაც ამის გამო დაისვა ყრილობაზე. იგი დასვა სწორეთ ქართველებმა და მის შესახებ არა ქართველს არც კი ეულაპარაკნია, რადგან კითხვა აშკარა იყო ეხებოდა უმთავრესათ ქართველ ამხანაგებს და არა რუსებსა და სომხებს. საკვირველია, რათ დასჭირდათ ასეთი ჭორის შეთხზვა და გაზეთის ფურცლებზე გამოტანა „სახ. საქმელებს“? ნუ თუ მხოლოდ წვრიმალი პროვოკაციისთვის?.

ფუერუმ „სოციალისტებო!“

დეპეშები

(პ. დ. ს. 10 ოქტომბერი).

გერმანიის შინაური სესხი.

კოპენჰაგენი. ბერლინიდან იტყობინებიან, რომ გერმანიის უკანასკნელ შინაურ სესხზე ხელის მოწერით შემოვიდა 12.500.000.000 მარკა.

ვიურცბურგის ყრილობა.

კოპენჰაგენი, დაიხურა ს. დ. ვიურცბურგის ყრილობა. კამათის ბოლოს შეიდემანმა სთქვა, რომ საჭიროა შემოღებულ იქნას ფართე სოციალურ პოლიტიკის წარმოება, ხოლო უპირველეს ყოვლისა უნდა მოხდეს სახელმწიფო წესწყობილების დემოკრატიზაცია.

ნემეც ს.-დემოკრატების ყრილობა ავსტრიაში.

— ვენაში გაიხსნა ავსტრიის ნემეც ს.-დემოკრატების პარტიის ყრილობა. პარტიის მდივანმა განაცხადა, რომ ყრილობის მთავარი მიზანია ზავის საქმის მომზადება.

რესპუბლიკის დროებითი საბჭო.

პეტროგრადი. დროებითი საბჭოში შედიან 126 ცენზიანთა წარმომადგენელნი, 25—კაზაკებიდან, 5 ეროვნებათა ცენზიანი წარმომადგენელი, 27 დემოკრატიული ნაწილის წარმომადგენელი და 314 წარმომადგენელი დემოკრატიული ორგანიზაციებიდან. ამათგან 58 ბოლშევიკმა დროებითი საბჭო პირველივე დღეს დასტოვა.

დეპუტატთა საბჭოში.

პეტროგრადი. დეპუტატთა საბჭოში ტროცკიმ მოხსენება გააკეთა—თუ რამ აიძულა ბოლშევიკები, რესპუბლიკის საბჭოდან გასულიყვნენ და თავისი მოხსენება დაათავა მოწოდებით, რომ ხელში ჩაიგდოს საბჭომ ძალა-უფლება. მას უპასუხეს მენშევიკების მხრით ლიბერმა, სოც.-რევოლ. დამბაროვმა და ინტერნაციონალისტების მხრით მარტოვმა. მარტოვი ნაადრევათ სცნობს ძალა-უფლების ამჟამად საბჭოს ხელში გადასვლას. და ბოლოს მიღებულ იქნა კოლონტაის მიერ წარდგენილი ბოლშევიკური რეზოლიუცია, რომელიც მიმართულია წინასწარი პარლამენტის და დროებით მთავრობის წინააღმდეგ და მოითხოვენ წამოყენებული, რომ ძალა-უფლება საბჭოების ხელში გადავიდეს. პეტროგრადის მტრისაგან დაცვის საკითხმაც ცხარე კამათი გამოიწვია. მიღებულ იქნა აგრეთვე ბოლშევიკების მიერ წარდგენილი რეზოლიუცია, უნდობლობას უცხადებენ მთავრობას დაცვის საქმეში და აღნიშნავენ, რომ პეტროგრადის დაცვა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ძალა-უფლება დეპუტატთა ხელში გადავა.

აღმასრულებელი კომიტეტები.

პეტროგრადი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ განმარტა, რომ სავოლოსტო აღმასრულებელი კომიტეტების ხარჯებს ხაზინა არ კისრულობს; სავოლოსტო აღმასრულებელი კომიტეტების მდივნები სახელმწიფო სამსახურში არ ითვლებიან; იმ ადგილებში, სადაც დაწესებული არ არის სამაზრო კომისრის თანაშემწეობა, სამაზრო კომისრის მოვალეობა შეუძლია შეასრულოს სამაზრო საერობო გამგეობის თავმჯდომარემ.

ცნობის უარყოფა.

პეტროგრადი. ზღვათა გენერალური შტაბი იტყობინება, რომ ტყუილია ის ცნობა, თითქოს ჩვენ მოკავშირე ინგლისის და საფრანგეთის ფლოტი ბალტიის ზღვაში შეჭრილიყოს. რომ ეს ასე მოხდეს და ჩვენი მოკავშირენი ბალტიის ზღვაში შევიდნენ ჩვენს დასახმარებლათ, ამისთვის მათ უნდა გადალახონ დიდი დაბრკოლებები.

პარტიიდან გადგება.

პეტროგრადი. ყოფილი სამხედრო მინისტრი სავინკოვი ს.-რევოლიუციონერთა პარტიამ თავის წრიდან გააგდო.

ესკადრის უფროსის დეპეშა.

ჰელსინგფორსი. მიიღეს ესკადრის უფროსის შემდეგი დეპეშა: გარდაეცით სვეაბორგის არტილერისტებს, რომ მათი ბატარეები გმირულად იბრძოდა. ყველაზე მეტ გაჭირვებულ მდგომარეობაში იყო შტაბს-კაპიტან ტაუბეს ბატარეა, რომელიც ისროდა პირდაპირ და თითქმის ყველა დაიღუპა. არტილერისტები უკანასკნელ ყუმბარებამდე ისროდენ.

დემოკრატიული ორგანიზაციების გაერთიანებულ კომიტეტის მოწოდება.

პეტროგრადი. დემოკრატიული ორგანიზაციების გაერთიანებულმა კომიტეტმა ქალაქის თვითმმართველობებს შემდეგი მოწოდებით მიმართა: ქალაქის მცხოვრებნო, რევოლიუციონური დემოკრატია სამშობლოს მძიმე წუთებში თქვენ მოგმართავთ, უნდა იცოდეთ, რომ მტერი აუწიოკებს ჩვენს არმიას, უკანასკნელი ძლიეს იმაგრებს მას და გერმანიის მხედრობა პეტროგრადისაკენ მოიწევს. ახლა მთელი ძალა, მთელი ჩვენი ყურადღება იქით უნდა იქნას მიქცეული, რომ როგორმე ჩვენი ჯარის მატერიალური და სულიერი ძალა განვამტკიცოთ. მას პური აკლია, ტანსაცმელი სრულიად აღარ აქვს და მას მომავალ ზამთარში ასეთ პირობებში უფრო გაუძნელდება მტრის წინააღმდეგ ბრძოლა. ამიტომ, მოქალაქენო, ნუ დაგვავიწყდებათ ჯარი და 29, 30 და 31 ოქტომბერს გამოიღეთ თქვენი წვლილი, შეაგროვეთ თქვენ შორის ფული და ნივთები და ფრონტზე ჯარებს გაუგზავნეთ. დასახელებულმა კომიტეტმა ასეთივე მოწოდებით მიმართა სოფლის მცხოვრებთ.

რუსეთის რესპუბლიკის საბჭო

(პ. დ. ს.)

10 ოქტომბერს გაიხსნა რუსეთის რესპუბლიკის დროებით საბჭოს კრება. თავმჯდომარე წინადადებას იძლევა აირჩიონ 12 კომისია. შემდეგ გადადიან ქვეყნის დაცვის საკითხის განხილვაზე. ლაპარაკობს სამხედრო და ზღვათა მინისტრები. სამხედრო მინისტრი ვერხოვსკი ამბობს, რომ მტერმა უკვე ჯარი გადმოსხა ხმელეთზე და წინ მოიწევს. მაგრამ გერმანიის აზრი არის არა ჩვენი დამარცხება ბრძოლის ველზე, არამედ ჩვენ სულიერ მდგომარეობაზე გავლენა, შიშის ზარის დაცემა, რომ იძულებული შევიქნეთ და სასირცხო ზავის პირობებს ხელი მოვაწეროთ. შემდეგ მინისტრი ეხება საზოგადოთ ჯარის დღევანდელ მდგომარეობას, აღნიშნავს რომ როგორც ფრონტზე ისე ზურგს უკან სამწუხარო მოვლენებს ჰქონდა ჯარში ადგილი. ჯარისკაცებმა ბევრ ადგილას არეულობა მოახდინეს. ამიტომ საჭიროა აუხსნან თვითეულ ჯარისკაცს და ოფიცერს, რომ ჩვენ სხვისი ქვეყნების ხელში ჩასაგდებათ არ ვიბრძვით, არამედ ჩვენი სამშობლოს თავისუფლების დასაცველათ. ჯარის რიცხვის შემცირების შესახებ მინისტრმა სთქვა, რომ უკვე მოახდინეს განკარგულება დაითხოვონ ოთხი წლის გაწვეული ჯარისკაცები. დასასრულ მინისტრი საბჭოს საჩქაროდ უდგენს კანონ-პროექტს ჯარში დისციპლინის აღდგენის შესახებ. მინისტრი მიმართავს საბჭოს და ურჩევს, რომ საბჭომ სთქვას თავის სიტყვა, რომ მიღებულ იქნას ყოველივე გადაჭრილი ზომები ანარქიის წინააღმდეგ, ისე კი სამშობლო და რევოლიუცია საბოლოოთ დაიღუპება.

შემდეგ ილაპარაკა ზღვათა მინისტრმა ვერდერევსკიმ, რომელმაც თავის ვრცელ სიტყვაში დაახასიათა რუსეთის ფლოტის დღევანდელი მდგომარეობა. მინისტრის სიტყვით რუსეთის ფლოტი როგორც შავს და ბალტიის ზღვაში, ისე სხვაგან არა-სასურველ მდგომარეობაშია, საჭიროა ახალი გემების, ფლოტისად ნაღმოსნების გაკეთება. მაგრამ ეს ფრიად საძნელოა, რადგან სა[illegible] მასალების მიწოდების საქმე ვერ არის რიგზე დაყენებული. შემდეგ ის დაწვრილებით ეხება მეზღვაურთა და უფროსების შორის განწყობილებას და აღნიშნავს, რომ ეს განწყობილება ვერ არის მაინცა და მაინც კარგი და ამისთვის საჭიროა აღდგენილ იქნას ფლოტში დისციპლინა.

ომის დეპეშები.

(პ. დ. ს.)

პეტროგრადი. 10 ოქტომ. რიგის მიმართულებით, სკრულის რაიონში ჩვენმა მოწინავე რაზმებმა წინ წაიწიეს და ჰოპენბერგის წინა ნაწილები დაიკავეს. სამხრეთ-დასავლეთისა და რუმინიის ფრონტზე დროგამოშვებითი სროლაა. ფოკშანის მიმართულებით, მერეშეშტის რაიონში საარტილერიო სროლა განცხოველდა.

ბალტიის ზღვაზე შეტაკება არ მომხდარა. კუინასტესთან მტრის სამხედრო ფლოტი გამოჩნდა. გერმანელები შეეცადნენ მოონზუნდის რაიონში დესანტი გადმოესხათ, მაგრამ მათ ცდამ უნაყოფოთ ჩაიარა.

ლონდონი. 9 ოქტომ. კრუაზელისა და პოლიგონის ტყესთან ჩვენმა ჯარმა მტრის პოზიციებიდან სამხედრო ტყვეები წამოიყვანა. მთელ ფრონტზე სროლა გაცხოველდა.

რომი. 9 ოქტომ. პლეცის, ტოლმინოსა და ვიპაკის რაიონში ორივე მოწინააღმდეგეები ერთმანეთს ზარბაზნის ყუმბარებს უშენენ.

უკანასკნელი ფოსტა

პეტროგრადში ქაღალდის ქარხნებში გაფიცვა დამთავრდა. მუშები და ქარხნის პატრონები შეთანხმდნენ.

შრომის სამინისტროსთან შესდგა ზინგერის კომპ. მუშა-მოსამსახურეთა და ადმინისტრაციის წარმომადგენელთაგან შემთანხმებელი კომისია. კომისია გაარჩევს ყველა სადაო საკითხებს და, თუ ვინიცობაა, შეთანხმება არ მოხერხდა, საბოლოო გადასაწყვეტათ საკითხი გადაეცემა შრომისა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროებს.

უმუშევართა რიცხვი გამრავლდა განსაკუთრებით პეტროგრადის, მოსკოვის, სარატოვის და სამარის სამრეწველო ოლქებში. შრომის სამინისტროს ცნობით, 1 ივლისიდან 15 სექტემბრამდე ამ რაიონებში უმუშევრათ იყო დარჩენილი 20—25 ათასამდე მუშა. მოსკოვის რაიონში, რომელშიაც შედიან კოსტრომის, ვლადიმირის და რიაზანის სამრეწველო ადგილები 50 მდე ბამბის საქსოვი ქარხანა დახურულა ამ უკანასკნელ ხანებში. უმუშევრათ დარჩა 50 ათასი მუშა. სარატოვის და სამარის გუბერნიებში წისქვილების შეჩერების გამო უმუშევრათ დარჩა 5 ათასამდე კაცი.

მთავარი შტაბის უფროს გენ. დუხონინის აზრით სანამ არ განადგურებულა ბალტიის ზღვის ფლოტი, პეტროგრადს საშიშროება არ მოელის. რეველის მდგომარეობა კრიტიკულია.

დროებითი მთავრობა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში დასტოვებს პეტროგრადს და გადავა მოსკოვში. პეტროგრადის დატოვების წინააღმდეგი ყოფილა არა თუ დემოკრატია, არამედ—ცენზიანი ელემენტებიც.

კორნილოვის საქმის გამო საგანგებო კომისიამ ჩვენება ჩამოართვა კერენსკის. კომისია განსაკუთრებით დაინტერესდა იმ როლის გარკვევით, რომელსაც კორნილოვის საქმეში ნეკრასოვი ასრულებდა.

ახალი ამბები

კაკი წერეთლის სახელობის სტიპენდია. 8 ოქტომბერს კაკი წერეთელს წარუდგა ბინის დამქირავებელთა კავშირის დელეგაცია მისასალმებელი ადრესით. ამასთანავე დელეგაციამ აცნობა მას, რომ მისი თაოსნობით ჩამოსულის აღსანიშნავათ კავშირი აარსებს თფ. პოლიტეხნიკუმში ი. გ. წერეთლის სახელობის სტიპენდიას.

◆ **გაფიცვის დასრულება.** სომეხთა კონსისტორიის მოსამსახურეთა გაფიცვა დასრულდა, ვინაიდან მათი მოთხოვნილებები სავსებით დაკმაყოფილეს.

◆ **ახალი რკინის გზა.** ამიერ კავკასიის სამხედრო სამრეწველო კომიტეტის სატყეო კომისიამ საბოლოოთ დაამტკიცა ბაღდადის რკინის გზის პროექტი. ამ პროექტის თანახმათ გზა გაივლის საირმედან ნაბლარის ხევში, ბაღდადში, დიმში, შემდეგ დროებით შეუერთდება ანანოვის მიერ სადგ. აჯამეთიდან გამოყვანილ ლიანდაგს. შემდეგ კი, როცა მდ. ყვირილაზე გაკეთდება ხიდი, ბაღდადის რკინის გზა სადგ. რიონში შეუერთდება ამიერ კავკასიის რკ. გზ. მთავარ ლიანდაგს.

◆ **საარჩევნო ოლქი.** საბოლოოთ გამოირკვა, რომ მთელი ამიერ კავკასია სამხედრო პირებისთვის შეადგენს ერთ საარჩევნო ოლქს და დამფუძნებელ კრებაზე გაგზავნის 36 დეპუტატს. ფრონტი წარმოადგენს ცალკე ოლქს და ირჩევს 9 დეპუტატს.

◆ **დარბევასთან ბრძოლა.** მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსთან დაარსდა საგანგებო კომისია, რომელსაც დაევალა დარბევასთან ბრძოლა.

◆ **მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოთა ყრილობის გარშემო.** 10 ოქტომბრის სხდომაზე თფ. მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს სამხედრო სექციის აღმასრულებელ კომიტეტის სხდომაზე გაარჩიეს საკითხი საბჭოთა მომავალ ყრილობის შესახებ. ბოლშევიკების სახელით ილაპარაკა დენისოვმა. მან საჭიროთ აღიარა ყრილობის მოწვევა, ვინაიდან იქ უნდა გამოირკვეს, თუ რა გზას დავადგებით ჩვენ დამფუძნებელ კრების მოწვევამდე. მენშევიკ მუხარანსკის [illegible] წინააღმდეგ ილაპარაკა [illegible] ქარცივაძეს [illegible] არ მიაჩნია დღეს ცალკე ყრილობის მოწვევა. მის მოწვევას მოითხოვენ ისინი, ვისაც არ სწამს, რომ მოწვეული იქნება დამფუძნებელი კრებაო. კამათის შემდეგ კომიტეტმა დაადგინა, ვეკიდებით რა უარყოფით ყრილობის მოწვევას, ჩვენც გავგზავნით წარმომადგენლებს, თუ იგი მაინც მოწვეულ იქნაო.

◆ **სადგილ-მამულო კომისია.** მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს მუშათა სექციის აღმასრულებელ კომიტეტმა 10 ოქტომბრის სხდომაზე დაადგინა, დაიწყოს ისევ მუშაობა ამას წინათ გაუქმებულ საგუბერნიო სადგილ-მამულო კომისიამ, რომელმაც მეტათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა გლეხთა შეკავშირების საქმეში.

◆ **ცენტრალურ საავტომობილო სახელოსნოსა და საწყობის** მუშა-მოსამსახურეებმა 5 ოქტომბრის კრებაზე დაადგინეს, რომ მოსამსახურეთა მიღება-დათხოვნის უფლება ეკუთვნის მხოლოდ მუშებს და ამიტომ პროტესტს ვუცხადებთ ტეხნიკურ საბჭოს, რომელიც ამ მხრით ცდილობს აღმასრულებელ კომიტეტის უფლებათა შეზღუდვას და ამით მისი, როგორც რევოლიუციონური ორგანოის ავტორიტეტის შელახვასო.

◆ **სომეხთა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას** ხნისიდან დეპეშით აცნობებენ, საჭიროა გამოიგზავნოს სათესლე ხორბლეულობა ხნისისა და მანასკერის რაიონებისათვის და აგრეთვე 200 ფუთიო.

◆ **არჩევნების მოლოდინში.** მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს მუშათა სექციის აღმასრულებელ კომიტეტმა დაადგინა მიმართოს მუშებს მოწოდებით, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღონ დამფუძნებელ კრების არჩევნებში, მოაწყონ საარჩევნო კომისიები, მიიღონ ზომები, რომ არავინ დარჩეს საარჩევნო სიის გარეშე და სხ.

◆ **საარჩევნო აგიტაცია.** სოციალისტ-რევოლიუციონერებმა უკვე დაიწყეს დამფუძნებელ კრებისათვის საარჩევნო აგიტაცია. ავრცელებენ უმთავრესათ ჯარისკაცთა შორის სხვადასხვა შინაარსის ფურცლებს და მოუწოდებენ მათ ხმა მისცენ ს.-რ. სიას.

◆ **მილიციის საქმეთა მთავარი სამმართველო** სთხოვს თფილისის გუბერნიის კომისარს აცნობოს მას რომელი გაზეთები გუბერნიაში უფრო ვრცლათ და დაწვრილებით აშუქებენ ადგილობრივ ცხოვრებას და იძლევიან მეტ ცნობებს.

◆ **ოთახები სამხედრო პირთათვის.** ქალაქის გამგეობასთან დაარსდა ოთხი დროებითი ქვეკომისია, რომელთა მოვალეობაა გამოუძებნონ ოთახები ფრონტიდან ჩამოსულ ოფიცრებსა და სამხედრო მოხელეებს.

◆ **ართვინის ქალაქის საბჭოში** დაშნაკცელებისა და სოციალისტ-რევოლიუციონერების ბლოკმა გაიყვანა 10 ხმოსანი; სომეხთა სახალხო პარტიამ—8; სოციალ-დემოკრატებისა და ჰნჩაკისტების ბლოკმა—2.

◆ **მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს კულტურულ-განმანათლებელ** განყოფილებაში მუშათა სექციამ თავის მხრით აირჩია მოშკოვი, მეფური, ესსენი.

◆ **წარმოდგენა.** დღეს, დღისით. კლუბში „მეშტიდე“-ში წარმოდგენილი იქნება კარპოვის ცნობილი პიესა მუშათა ცხოვრებიდან „ზარევო“.

კრებები და მიტინგები.

დღეს, საღამოს 7 ს. ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფესიონალურ კავშირის ბინაზე შესდგება რწმუნებულთა საბჭოს კრება ტარიფის განსახილველათ.

— დღეს, საღამოს 7 საათზე, მე-6 სავაჟო გიმნაზიაში შესდგება კრება პირველი სამილიციო უბნის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტისა და საარჩევნო მცირე კომიტეტის წევრებისა.

— ხვალ, საღამოს 7 ს., დანიშნულია პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს წევრთა კრება. დღის წესრიგი: 1) შრომის ბირჟის კომიტეტის წევრთა არჩევნები; 2) ინსპექციის შემუშავება გაფიცვების საწარმოებლათ; 3) კულტურულ განმანათლებელი მუშაობა.

— დღეს, საღამოს 8 საათზე, კავკასიის სამოსწავლო ოლქის კომისარიატის ბინაზე გოლოვინის პრ. ოქროეს სახლი დანიშნულია ქართული პედაგოგიური საბჭოს მორიგი სხდომა ქართული ენისა და მოსამზადებელი კლასების პროგრამის განსახილველათ.

პროვინციის ქრონიკა.

დ. ჩოხატაური. უმაღლეს პირველ-დაწყებითი სასწავლებლებში სწავლა ჯერაც არ დაწყებულა, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევს ხალხში. ზოგან ინსპექტორებიც არაა ჰყავთ. დ. ჩოხატაურის სკოლის ინსპექტორი ბ. ჭყურაძე წავიდა თავის სოფელში. მოელიან მის მაგიერს. სასურველია ისეთი სკოლის უფროსი, რომელიც სკოლას მკვიდრ ნიადაგზე დააყენებს და ხალხის ნდობას დაიმსახურებს... ს. ამაღლებაში ინსპექტორათ მიიწვიეს ამ. კორიძე, სამმიეს სეიძე—კარ. ბერიძე.

— ყანების აღება გურიაში თითქმის უკვე მოთავდა. აღებას კარგი დარები დაესწრო. მოსავალი საერთოთ საშუალოზე გაცილებით ნაკლებია, ასე რომ შიმშილობა აუცილებელია თუ დროზე არ მივიღეთ ზომები. ყურძნის მოსავალი სრულიად დაიკარგა—ყურძენი არ დამწიფებულა წვიმების გამო.

[illegible] გამგეობა

მიმოსვლა დელიჟანების ოზურგეთიდან ხიდისთავ-ჩოხატაურამდე შეწყვეტილია, რაც დიდათ აწუხებს ხალხს. ფიქრობენ ავტომობილის შეძენას, მაგრამ ხიდები ჩამპალია და გაკეთებასაც არავინ ფიქრობს.

— საქონლის გამოლევის გამო იკეტება კერძო სავაჭროები, ასე თუ გაგრძელდა სულ მალე გამოილევა ფართალი და სხვა სანოვაგეც. ახალის მოტანა შეუძლებელია. ერთი თვე სრულდება ჩოხატაურში პური არ გამომცხვარა, მიზეზი პურის ფქვილის უქონლობაა. ახალსაც აღარ მოელიან. სიმინდი კი გასაყიდი არ იშოვება.

სამტრედიის რკ. გზ. კლუბში 2 ოქტომბერს ადგილობრივ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს ხელმძღვანელობით გაიმართა კრება, რომელზედაც პ. წულაიამ გააკეთა მოხსენება 12 სექტემბერს პეტროგრადში შემდგარ დემოკრატიულ თათბირის მუშაობის შესახებ. მოხსენებამ დააკმაყოფილა დამსწრენი და ერთხმათ გადაწყვიტეს მიეწვიათ მომხსენებელი ხელ მეორეთ ამავე მოხსენების რუსულ ენაზე გასაკეთებლათ.

სად. ჯუმათი. 15 ოქტომბერს შუადღის 12 საათზე დანიშნულია ადგილობრივი სამკითხველოს და ქალთა კოოპერატივის წევრთა კრება. სთხოვენ წევრებს დაესწრონ კრებას საჭირო საკითხების გამოსარკვევათ.

ფოთი. „რუსის“ საზოგადოების ფოთის არტელმა ძველი რეჟიმის დროს სცადა დაარსებია კავშირი შავი ზღვის ნაპირის მუშებისაგან. პრაქტიკულათ საქმის განხორციელებასაც კი შეუდგენ, მარა მიზანს ვერ მიაღწიეს. მიზეზი ადვილი გასაგებია. ეხლა, როცა თვითმპყრობელობა დაეცა, რუსეთის ნაპირის მუშებმა აიღეს ინიციატივა, ფოთს აცნობეს მარა დაგვიანების გამო მონაწილეობა ვერ მიიღეს და ფოთის დელეგატები ვერ დაესწრო პირველ ყრილობას. ეხლა, როგორც გვატყობინებენ, მეორე ყრილობა მოხდება როსტოვში 2 ოქტომბერს.

— 29 სექტემბერს არტელმა კრებაზე ყველა იქ გასარჩევი კითხვები მოისმინა, მოიწონა და დელეგატიც აირჩია გასაგზავნათ.

— კოოპერატივ „ეკონომიას“ ცოტა გამოცოცხლება დაეტყო, საქონელიც გვარიანათ შეიძინეს. კუნძულზე გახსნეს განყოფილება, განყოფილება აქვთ აგრეთვე სოფ. ნახუტურშიც. საჭიროა გამგეობამ ცოტა ენერგია გამოიჩინოს და საქმეს არა უშავს.

ქუთაისის ამბები

პოგრომის დროს დაარბიეს შემდეგი სავაჭროები: გალე ქუჩაზე: კურაევას საკანდიტერო, ორი საპარიკმახერო, აფთიაქის მაღაზია სერგეენკოვისა, საგალანტერიო სავაჭრო გასპარაშვილისა, წვრილი ვაჭრების ძმ. გოკიელოვისა, დაიწვა მინერალური წყლის ქარხანა აზნიანიძისა და ამ შენობაში მოთავსებული ოქრომჭედლობისა და სხვა სავაჭროები. გამოღმა ჩბოლაძის სამკერვალო, ქუდების მოვაჭრის არდანიშვილის. წაიღეს საქონელი პოლოშვილის სამღებროდან. გიმნაზიის ქუჩაზე: საკანდიტერო და ქუდების მოვაჭრის გრიქუროვის; საგალანტერიო სავაჭრო აიზრინდის, თუთუნისსავაჭრო „ელეგანტი“. მის გვერდში მოვაჭრე ქაღალდის და საკანცელარიო მოწყობილობის ძმ. მირაქოვების სავაჭრო. აფთიაქის მაღაზია შავერზაშვილის, მამაჯანოვის სავაჭრო, ძმ. ჩილინგაროვების კაფე „სამოთხე“. აფთიაქის მაღაზია კახიანის. „აბრეშუმი“. წვრილი სავაჭრო, მესაათე განელინი, ფეხსაცმელების სავაჭრო უკრაინცევისა, ფართლეულობის სავაჭრო ძმ. მელაშვილებისა, იგივე სავაჭრო რიქინაშვილებისა. დაზიანებულია: კოოპერატივი „შრომის ბრტყელი“, მესაათე ფიზიცკისა. მიხაილოვის ქუჩაზე: წვრილი სავაჭრო ხანანაშვილისა, მესაათე ძმ. ფიზიცკებისა, ორი სავაჭრო ეფრაიმისა, მიხაილოვის შესახვევში: იაკობიშვილების სავაჭრო და ჩიკვაშვილისა, მიხაილოვის ქუჩაზე დაზიანებულია: მიხეილიძის ფართლეულობის სავაჭრო, ამავე სავაჭრო მახარაძისა, დაზიანებულია წიქორიძის, კილასონია და კაპანაძე, ელიგულაშვილებისა, ჩხეიძე და მომფარია, მესაათე ვოლოხი, ფართლეულობის სავაჭროები: მუზიაშვილი, კვარაცხელია, გაბუნია, თავდიდიშვილი, დაზიანებულია სამი პატარა სავაჭრო, დარბეულია გვეტაძის, მის გვერდით ორი მესაათე, მინიაშვილი და თავდიდიშვილი, ტყავეულების სავაჭრო ლორიასი, ძმ. გოკიელის სავაჭრო, რეზინების სავაჭრო „პროვოდნიკი“, ფეხსაცმელების, ი. მესხის და ბერეჟიკიძე.

საარჩევნო სამზადისი

დამფუძნებელი კრების საარჩევნო კომისია ოზურგეთის მაზრისა აცხადებს რაიონის და საზოგ. კომისიების საყურადღებოთ, დააჩქარონ სიების შედგენა, რათა შესაძლებელი დარჩეს თავის დროზე შესაფერი და საჭირო ზომების მიღება. სიების დამთავრებისთანავე უნდა ეცნობოს რაიონის კომისიას, რამდენი ხმის მიმცემია მათ საზოგადოებაში, რაიონის კომისია კი მოვალეა 13 ოქტომბრამდის ყოველივე აცნობოს მაზრის კომისიას. არჩევნებისათვის საჭირო ყუთები მზადდება სამაზრო კომ. ხელმძღვანელობით. თავის დროზე მიიღებენ ყველანი.

—

გურია. დამფუძნებელი კრების საარჩევნო მუშაობა ელვის სისწრაფით მიმდინარეობს გურიაში აღწერა უკვე თავდება, მიუხედავათ იმისა, რომ გვიან იყო დაწყებული., საერთო ძალების ამოძრავებით და მონაწილეობით თავის დროზე ყველაფერი მზათ იქნება. საჭიროა სოფლის კომისიებმა, დაათავებენ თუ არა აღწერას, მაშინვე თვალსაჩინო ადგილას გააკრან განცხადება, სადაც ჩამოთვლილი იქნება, ვინც სიაში არის შეტანილი, რითაც საშუალება მიეცემა სიაში გამორჩენილ პირებს თავის დროზე განაცხადონ და სიაში ჩაიწერონ. სასურველია ყველა საზოგადოებაში მოეწყოს ლექციები, სადაც უნდა განმარტებული იქნას დამფუძნებელი კრების არჩევნების პრაქტიკული დებულებანი.

—

როგორც გვიგეთ, ოზურგეთის მაზრაში სასოფლო საარჩევნო კომისიის სამოქმედო ერთეულად სასოფლო საზოგადოება აღუნიშნავთ. თუ ეს ასეა, მოვუწოდებთ გურიაში მომუშავე ამხანაგებს, დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები და სასოფლო საარჩევნო უბნათ დანიშნონ სივრცე რადიუსით, არა უმეტეს 2—3 ვერსისა. თუ ეს ასე არ იქნა, ჯერ ერთი, რომ საარჩევნო წესები დაირღვევა. მეორე—გლეხობისთვის 12-ში, როცა, შეიძლება, წვიმა და ტალახი დარჩეს, ხმის მისაცემათ ძნელათ თუ ვინმე წავა, მეტადრე წვრილ-შვილებიანი ოჯახის ქალები.

ღალატისათვის

1.

ღმერთმა დასაჯა ჩაგრულ მშობლის ღალატისათვის,
თავის ქალათი, მათის ძვლებით მოკენჭა ველნი.
წინასწარმეტყველს შეებრალა—და უფალს მათთვის
სიცოცხლე თხოვა—და შეიქნენ ისინი მთელნი!

2.

ორი ლეგენდა აღმოსავლეთს მათზე მსმენია:
ერთი შებრალვის—აღდგენილნი გაწყდენ ბრძოლაში
ხოლო მეორე საშინელი: მათ დარჩენია
სიცოცხლე მხოლოდ უდაბნოში შიშს და ძრწოლაში.

3.

მკვდრეთით რომ აღდგენ, ტანთსამოსი ეცვალათ შავათ
ნიშნათ იმისა, რომ სიკვდილის ესოთ იერი,
კუბოს კარამდე სევდით თავნი დაბლა ეკავათ,
ზედ ეტყობოდათ უსიცოცხლო სიკვდილის ფერი.

(ბუნინიდან). იასამანი.

რა ხდება გერმანიაში.

კამათი იმისა და ზავის შესახებ, რომელმაც დიდი აღიაქოთი გამოიწვია გერმანიის რეიხსტაგში, უკვე დასრულდა. ამ კამათიდან აშკარათ სჩანს, რომ რეაქცია არამც თუ შესუსტდა გერმანიაში, პირ-იქით, ის უფრო გაუტიფრდა და უფრო გამაგრდა, ვიდრე წინათ. „სამშობლოს პარტია“ ყურცხვით და უტიფრათ თავ-დადებით ეწეოდა აგიტაციას ანექსიის და კონტრიბუციის სასარგებლოთ. ბრძოლის ველზე შექმნილ პირობების მიხედვით გერმანია უნდა ანექსია რუსეთის ხარჯზე მოახდინოს. მთავრობის ოფიციოზი „კელნიშე ცაიტუნგი“ ასე სწერდა ცენტ. აღ. კომ. გოლდენბერგის წერილის საპასუხოთ ერთი თვის წინათ: „ის მოსაზრება, თითქოს გერმანიის იარაღი რუსეთის რევოლუციის წინ გაჩერდებათ შეჩერდეს **მხოლოდ სიცილს გამოიწვევს**“. რეიხსტაგის კამათმა ნათელ ჰყო გერმანიის ხალხის რევოლუციონური სულისკვეთება. აღნიშნულ კაპელის ბრალდების საპასუხოთ დამოუკიდებელმა სოციალ-დემოკრატებმა მთავრობაზე გადაჭრილი იერიში მიიტანეს, მათ აშკარათ დაამტკიცეს, რომ გერმანია მტაცებლობითი ომს აწარმოებს, რომ გერმანიის მთავრობა ყურადღებას არ აქცევს რეიხსტაგის მიერ ზაფხულში მიღებულ სამშვიდობო რეზოლიუციას და ისე იქცევა, როგორც პანგერმანელები უბრძანებენ. რეიხსტაგის პარტიის უმრავლესობამ, იმის მაგიერ, რომ კაპელს და მიხაელისს წინააღმდეგ ამხედრებულიყვენ, დამოუკიდებელ სოციალისტებზე მიიტანა იერიში. შეიდემანელებს შიშის ზარი დაეცათ, როცა დამოუკიდებელმა სოციალისტებმა რეაქციის ოინები გამოააშკარავეს და მათ მოითხოვეს მიხაელისის გადაყენება, არა იმიტომ, რომ ის პანგერმანულ პროპაგანდას ეწეოდა, არამედ იმიტომ, რომ მან ვერ შესძლო დაემალა თავისი ანექსიური ზრახვანი.

გერმანიის შინაური პოლიტიკური მდგომარეობა ასეთია: იმპერიალისტური რეაქცია ზევიდან, რევოლიუციონური მდგომარეობა ძირს, და ბურჟუაზიულ ოპოზიცია ერთ ადგილზე ტრიალი. ამ უკანასკნელებზე, რომლების უკან შეიდემანელები მიჩანჩალებენ, ალბათ, გავლენას ახდენს გერმანელთა გამარჯვება რუსეთის ფრონტზე. აშკარაა, თუ ეს გამარჯვება გაგრძელდა, რეაქცია საბოლოოთ გაიმარჯვებს გერმანიაში.

ყველა ამის მიხედვით საჭიროა, რომ ახალგაზრდა რუსეთის რესპუბლიკა მთელი თავის არსებით წინააღუდგეს გერმანიის მტაცებლობითი განზრახვას, რომელსაც სურს ინგლისის იმპერიალიზმის წინ დაიხიოს და ზავისთვის რუსეთის ხარჯზე მიიღოს სასყიდელი. (რ. გ.).

უცხოეთი

შვედური გაზეთების აზრი რუსეთის შესახებ. რუსეთის ახალ კაბინეთის შედგენამ დასავლეთ ევროპის პრესაში დიდი განცვიფრება გამოიწვია. ყველას ეგონა, რომ კორნილოვის აჯანყების მოსპობის და დემოკრატიულ თათბირის შემდეგ, რევოლიუციონურ დემოკრატიის განცხადების თანხმათ შესდგებოდა ძლიერი სთავრობა თუ ერთგვარი დემოკრატიული არა, იქ რევოლიუციონურ დემოკრატიის უმრავლესობა მაინც შევიდოდა. არას გზით არ მოელოდნენ, რომ კადეტ ბურჟუაზიის უმრავლესობა შეადგენდა მთავრობას. პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ ასეთ უმრავლესობით შედგენილი კაბინეთი ძალზე შეაფერხებს ზავის საკითხის გადაწყვეტას. ტერეშჩენკოს სამინისტრომ რამდენიმე თვის განმავლობაში ამ [illegible] —[illegible], გარდა იმისა, რომ [illegible] იმპერიალისტებს უმტკიცებდა [illegible]

იმ დროს, როცა 1914 წელს მიიღეს 264 ხმა, მათ ჩამოშორდა გლეხთა კავშირი, რომელმაც 41,000 ხმა შეაგროვა. რაც შეეხება ს.-დემოკრატიას, ის ჩაერია საარჩევნო ბრძოლაში, როგორც ორი მოქიშპე ორგანიზაცია. ამ პარტიაში დიდი ხანია დაიბადა უთანხმოება პრინციპიალურ საკითხებში და ბოლოს გასულ წლის თებერვალში პარტია ორათ გაიყო. როგორც ყოველგან, მთელს ევროპაში, გაყოფის მიზეზი ომის საკითხი იყო. ძველმა პარტიამ „დადებითი თავდაცვის“ მომხრეთ გამოაცხადა თავი და სამხედრო კრედიტს ხმა მისცა. „მემარცხენე სოციალისტთა“ ახალმა პარტიამ განაცხადა, რომ ის ემყარება კოპენჰაგენის რეზოლიუციას, სადაც ნათქვამია პატარა ერებმა უნდა ეცადონ ენერგიულათ გაატარონ ცხოვრებაში იარაღის აყრის იდეაო. ამ მიზეზით „მემარცხენე სოციალისტებმა“ უარი სთქვეს სამინისტროში შესვლაზე. მემარცხენე სოციალისტების პროგრამა მოითხოვს პირველ პალატის გაუქმებას რესპუბლიკის დამყარებას,პლებისციტს, ხალხის მუდმივ კონტროლს საგარეო პოლიტიკაზე, მილიტარიზმის სრულიად გაუქმებას და 250 მილიონ მანეთის სამხედრო ბიუჯეტის სხვა კულტურულ საქმეზე მოხმარებას და სინდისის სრულ თავისუფლებას. ძველმა ს.-დემოკრატიულმა პარტიამ მიიღო 228,000 ხმა, ახალმა მემარცხენე ს.-დემოკრატებმა 59,000 ხმა. საერთოდ ს.-დემოკრატიულმა პარტიამ მიიღო 287,000 ხმა.

სოციალიზმი იაპონიაში. ერთ ფრანგულ გაზეთში მოთავსებულია ცნობა იაპონიაში სოციალისტური მოძრაობის შესახებ. ამ პატარა ცნობაში ცენზურას ბევრი ადგილები ამოუშლია, მაგრამ რაც არის, ისიც საკმაოა იმის დასასურათებლათ, თუ როგორ იკიდებს იაპონელ მუშებში ფეხს სოციალისტური მოძრაობა. ამხ. ტაკამამ სან ფრანცისკოში, სადაც ათასი იაპონელი მუშა მუშაობს, დაარსა სოციალისტური ჟურნალი „ხეიმუმი“ (ხალხი). ამ ჟურნალის პირველი ნომრის ოთხი გვერდი იაპონურ ენაზე გამოვიდა და ოთხი ინგლისურზე. ამ ჟურნალში მოთხრობილია უკანასკნელ ხანებში იაპონელ ამხანაგების მოქმედება. მუშათა მოძრაობა ისე მოღონიერდა იაპონიაში, რომ მას თამამათ შეუძლია გაუძლოს მეცნიერულ სოციალისტურ ჟურნალის გამოცემის საქმეს. ასეთი ჟურნალი გამოდის ტოკიოში, შემდეგ სათაურით „ახალი საზოგადოება“, თვეში ორჯელ 120 გვერდი, ამხ. ტოსიხიკო საკაის რედაქტორობით. ამ ჟურნალმა უკვე საკმაო გავლენა მოიპოვა მუშებში, ორი მისი უკანასკნელი ნომერი ცენზურამ სრულიად გაანადგურა. იმავე ამხ. საკაის რედაქტორობით გამოდის გაზეთი „მუშათა კავშირი“.

კაუცკის აზრი რუსეთის რევოლუციასა და სტოკჰოლმის კონფერენციაზე.

სოციალ-დემოკრატიის გამოჩენილმა მასწავლებელმა კარლ-კაუცკიმ (ახლა გერმანიის ს.-დ. უმცირესობის მხარეზე) თავისი აზრი გამოსთქვა „ნოიე-ცაიტ“-ში რუსეთის რევოლუციის პერსპექტივებზე და სოციალისტთა სტოკჰოლმში მოსავალ შეხვედრაზე.

რუსეთის რევოლუციის და მოახლოვებულ სტოკჰოლმის შეხვედრის მიერ გამოწვეულ ერთა ხალისიან იმედს, სწერს კაცკი, უკანასკნელათ რამდენამე ფრთა შეეკვეცა.

რუსეთის რევოლუცია იმავე საფეხურებს განიცდის, რომელიც ყველა რევოლუციამ გაიარა. რევოლუციის განსაზღვრულ საფეხურზე კოალიციური მთავრობა, რომელშიც მონაწილეობას იღებს მუშათა კლასიც შესაძლოა სასარგებლო აღმოჩნდეს ამ უკანასკნელისათვის და რევოლუციის განვითარებისათვის.

ასეთი გარდამავალი ხანა მხოლოდ მოკლე დროით გაგრძელდება. მაგრამ, უაზრობა იქნებოდა, რომ ძალდატანებით, ხელოვნურათ შეგვემოკლოთ ეს საფეხური.

მას აუცილებლად უკან მიყვება რევოლუციის მესამე საფეხური: განხეთქილება, თითქმის გაძლიერებაც კლასობრივი ბრძოლისა იმ კლასთა შორის, რომელიც ძველი მთავრობის დამხობაში მონაწილეობას იღებდენ. ამ საფეხურს აუცილებლათ გაივლის რუსეთის რევოლიუციაც; ამას წინ ვერ აღუდგება ვერავითარი ტაქტიკური სიბრძნე, ვერავითარი ტერორისტული დაუზოგველობა. ხსენებული ფაზა გადამწყვეტი არის: ის განსაზღვრავს რევოლიუციის ისტორიულ ხასიათს, და აგრეთვე იმას, რაც შევა ისტორიაში, როგორც რევოლიუციის მტკიცე საბოლოო შენაძენი.

ამ დროს აშკარავდება არა მარტო კლასობრივი წინააღმდეგობა, არამედ ტაქტიური წინააღმდეგობაც ცალკე კლასთა შიგნით. ზოგიერთ შემთხვევაში ტაქტიური წინააღმდეგობანი უფრო ადრე იჩენენ თავს, ვინემ კლასობრივი. უკანასკნელი პოლიტიკაში გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენენ და არა ერთად ერთს, მართალია, ჯარის მოქმედება განისაზღვრება არა მარტო იმით, რომ მან იცის, სადა ყავს მტერი, არამედ იმითაც, რომ უნდა დააფასოს თავისი ძალ-ღონე და მტრის ძლიერება. ჯარი ემორჩილება ერთ სარდალს და ეს უკანასკნელიც უკარნახებს მას მხოლოდ ერთ ტაქტიკას, დემოკრატიის პოლიტიკურ ჯარს არა ყავს არავითარი გენერალისიმუსი და ამიტომ მიუხედავათ კლასობრივ ინტერესთა სრული ერთგვარობისა, მიუხედავათ თეორიის სრული მაღიარობისა, იგი შეიძლება ღრმათ გაითიშოს მომენტის სხვადასხვა ნაირათ დაფასების გამო, ამიტომ საჭიროა რევოლუციის განსამტკიცებლათ ცოტათ თუ ბევრათ მტკიცე საფუძველის გამონახვა ამ დაფასებაში. ასეთ საფუძველს იძლევა დამფუძნებელი კრება. ამიტომ რუსეთისთვის მისი მოწვევის დაჩქარება აუცილებელია.

კაუცკი სავსებით უარყოფს რუსეთის და საფრანგეთის რევოლუციების შაბლონურ დაპირისპირებას. ამგვარათვე შეუძლებელია, მისი აზრით, საფრანგეთის რევოლუციის ომების, რომელთაც მიზნათ ჰქონდათ გამტკიცებით მესამე წოდების უკვე მიღწეული ბატონობა, თანამედროვე ომთან შედარება, რომელიც ხელს უშლის რუსეთის პროლეტარიატს რაიმე სარგებლობა გამოიტანოს რევოლუციიდან. საჩქარო ზავი აუცილებელია რუსეთის რევოლუციის გამარჯვებისათვის. მაგრამ რევოლუციისათვის სიკვდილი იქნებოდა ყოველგვარი ზავი, გარდა უანექსიო და უკონტრიბუციო ზავისა, რომელიც ერთა თვითგამორკვევის საფუძველზე უნდა იქნეს აგებული. თუ ომი გათავდება ისე, რომ ერებს ძალას დაატანებენ და ეს გამოწვეული იქნება მით, რომ რუსეთის რევოლუციამ გადამწყვეტ მომენტებში ხელი შეუშალა, იმის მაგიერათ, რომ ხელი შეეწყო, ასეთ ზავისთვის, მაშინ არა მარტო რევოლუციის მიზნები, არამედ რევოლუციის მეთოდებიც დაკარგავენ ნდობას რუსეთის ხალხისა და მთელი ქვეყნის თვალში. ამნაირათ რუსეთის რევოლუცია ორ ცეცხლ შუა სდგას: ომის გაგრძელება მას პოლიტიკურათ და ეკონომიურათ უქადის განადგურებას, ხოლო სეპარატიული ზავი—მორალურათ გაკოტრებას.

მართალია, რევოლუციას, რომელსაც ღრმათ აქვს ფესვები გადგმული სოციალურ ურთიერთობაში, დიდი სასიცოცხლო ძალები მოეპოვება; დროებითი მისი უკან დახევა უფლებას არ გვაძლევს იმედი დავკარგოთ, მაგრამ იგი კიდევ და კიდევ გვაგონებს ჩვენ, რომ რუსის ამხანაგების საკუთარ ბედს არ უნდა მივანდოთ.

რუსეთის რევოლუციის დამარცხება შეაჩერებს გერმანიის დემოკრატიზაციას, რომელიც ახლა რუსეთის რევოლუციის გავლენით დაიწყო. რუსეთში მომხდარ ამბების გამო უკვე (კაუცკის წერილი აგვისტოში დაიბეჭდა) ცივი ქარი ქრის მთავრობის დაწესებულებიდან და ცენტრის რედაქციებიდან.

II.

რევოლიუციონური რუსეთი მარტო ვერ შესძლებს ზავის შეკვრას იმ პრინციპების მიხედვით, რომელიც მან წამოაყენა. ესეც არ იყოს, ინტერნაციონალმა ხომ უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობა როგორც რუსეთის რევოლიუციისადმი, ისე თავის თავისადმი?..

სოციალისტებში არის მიმართულება, რომელიც ცდილობს აღადგინოს ინტერნაციონალი. და უკვე ორი წელია გადასწყვიტა მოიწვიოს საერთაშორისო კონფერენცია, და კიდეც მიაღწია ამ მიზანს. საერთაშორისო კონფერენცია შეიკრიბება სტოკჰოლმში.

ჩვენ უკვე გვესმის ამ კონფერენციის საწინააღმდეგო სიტყვები. ლაპარაკობენ: განა შეიძლება გვერდით მიუჯდე იმას, ვისაც შინ ებრძვი?

უპირველესათ ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ ეს მოსაზრება ყოველგვარ აზრს მოკლებულია იმ ამხანაგებისათვის, რომლებიც თავის სახლში მოსისხლე მტერთან ერთად შემოსხდომიან სუფრას, როგორც მაგ. ფრანგები, ინგლისელები, შვეიცარიელები, ავსტრიელები, პარტიული რასკოლი, როგორც ომის შედეგი, არაა ინტერნაციონალური მოვლენა, არამედ წმინდა გერმანული.

ეს უნდა მივაწეროთ იმ მიმართულების განსაკუთრებულ მიუკარებლობას, რომელიც გაბატონებულია ძველ გერმანულ სოციალ-დემოკრატიის პარტიულ დაწესებულებებში.

უწინ მე არ მესმოდა, როცა ვხედავდი საფრანგეთის და ბელგიის სოციალისტურ უმრავლესობის რყევას არ იცოდა მიეღო თუ არა მონაწილეობა კონფერენციაში, რომელსაც გერმანელი სოციალ-დემოკრატებიც დაესწრებოდნენ. თუ ისინი გერმანულ სოციალიზმს ინტერნაციონალის ღალატს აბრალებენ, მათ იმდენი გამბედაობა უნდა ქონდესთ, რომ ეს ბრალდება წარმოსთქვან კონფერენციაზე გერმანულ სოციალიზმის წარმომადგენლების თანდასწრებითაც. აგრეთვე ასეთი შეხედულება ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას, როცა მას გერმანელი სოციალისტები ამბობენ.

ამბობენ სხვასაც: სტოკჰოლმში სოციალ-პატრიოტული უმრავლესობა შეკავშირდება და ჩააჩჩობს უმცირესობას თავისი ხმებით.

თუ ეს მოხდება არც მაშინ დაუშლის რამე უმცირესობას, რომ მიმართონ რასკოლს. ხოლო უფრო კარგ შთაბეჭდილებას იქონიებს მასაზე, თუ რასკოლი გამოწვეულ იქნა პროტესტით იმ გადაწყვეტილების, წინააღმდეგ, რომელსაც კონფერენცია მიიღებს: მთელ ქვეყანას ეცოდინება მაშინ, რომ ჩვენ უარვყავით ეხლანდელი ინტერნაციონალი, რადგან მან მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც ძირიანათ ეწინააღმდეგება სოციალიზმსა და ინტერნაციონალიზმს.

მაგრამ შეიძლება სიმართლესთან დაახლოვებულათ ჩავთვალოთ ის შეხედულება, რომ სტოკჰოლმის კონფერენცია დაადგება ჩვენთვის მიუღებელ პირობებს?

გავსინჯოთ.

რადგან ყველა დიდ მეომარ სახელმწიფოში ოფიციალურ პარტიას ეწინააღმდეგება ძლიერი უმცირესობა, ამიტომ დიდი ერები არ იქნებიან კონფერენციაზე საკითხის გადამწყვეტი. სწორეთ გაუგებარია, როგორ შეძლებს უმრავლესობა შეთანხმდეს იმპერიალისტურ ზავზე, ე. ი. ზავის ისეთ პირობებზე, რომლებიც ერთ ნაციის უპირატესობას მიანიჭებს მეორეზე. იმ ნაციას, რომელსაც ასეთი ზავი მისცემდა რაიმე უპირატესობას სხვა ერებზე, შეეწინააღმდეგებოდა ყველა ერების უმცირესობა და ბევრი პარტიები სხვა ერების უმრავლესობისა. სანამ არ ჩამოყალიბებულა იმპერიალისტური ზავის პირობები, რაზედაც შეიძლებოდა შეერთებულიყვნენ მეომარ სახელ. სოციალისტების უმრავლესობანი და შეეწინააღმდეგებოდენ უმცირესობას, მანამდე მათი მორიგება წარმოუდგენელია, ისე, როგორც სიმრგვლის კვადრატურა. ნუ თუ შეიძლება ვიფიქროთ, რომ რენოდელი და იმამ კომპერ-მორელი ისეთ პირობებს მიიღებენ ელზას ლორენის საკითხზე, რომელიც ძალდატანება იქნება საფრანგეთის ან გერმანიის ერებზე? განა ვანდერველდე და ლეგიენი შეთანხმდებიან ბელგიის საკითხში და შეერთებულ ძალებით შეებრძოლებიან ჰააზეს და ბერნშტეინს? საკმარისია ამაზე მიუთითო ეს იმას ნიშნავს, რომ მისი კომიზმი გამოაჩინო; ერთი მეორის მოწინააღმდეგე სოციალისტურ უმრავლესობის წინ სტოკჰოლმში უმცირესობა უთუოდ მორალურ უპირატესობას მოიპოვებს და თუ ისინიც ისევე დახელოვნებულნი იქნებიან, როგორც შეურიგებელნი არიან, მაშინ ისინი გამაცლავდებენ ყოველ პარტიას, რომელიც მათ წინააღმდეგობას გაუწევს.

მაგრამ არის მიმდინარეობა, რომელიც რუსულათ რო ვთქვათ „переучилось“, მაგრამ სულ სხვა აზრით, ვიდრე ლენში და კუნოვი. მან სიხარულით შეაქვს ყოველივე სოციალისტურ ტაქტიკაში, რომელიც, თუ ახლა გასინჯავ, ბლანკის, ან ბაკუნინის ძველ ქარხნის ნაწარმოები. ამ მიმართულებას არაფერი არ სწამს სოც.-დემოკრატიის ელასტიურ ტაქტიკის, იმ ტაქტიკის, რომელიც რევოლუციაზე ამყარებს იმედებს, მაგრამ რეფორმებისთვისაც იბრძვის იქ, სადაც ნიადაგი არ მომზადებულა რევოლუციისათვის. ეს მიმდინარეობა ყოველთვის და ყოველგან ჩვენს ტაქტიკას დაუყოვნებელი რევოლუციის იმედზე ამყარებს, ამ მიმდინარეობას მართლა უნდა ეშინოდეს, რომ იგი უმცირესობაში დარჩება საერთაშორისო კონფერენციაზე. ამიტომ ადვილი გასაგებია, რომ მან უნდა კონფერენციის გარეშე დარჩეს.

ერთი კი დღეს მართალია: თუ კონფერენცია, მიუხედავათ ათასგვარ დაბრკოლებისა შესდგა, იგი არ დაიშლება, სანამ არ აღადგენს ინტერნაციონალს ამა თუ იმ სახით. ან ძველი ინტერნაციონალი აღსდგება ახალ ძალებით გაძლიერებული, ანდა შეიქმნება მესამე ინტერნაციონალი.

გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება იმას, თუ რა გავლენას მოახდენს კონფერენციის გადაწყვეტილება მასაზე. რაკი ერთხელვე დაუბრუნდება მასა საერთაშორისო მუშაობას, იგი შესძლებს გაუმკლავდეს საზავო მიმდინარეობის არა საიმედო მომხრეებს და დემოკრატიულ ზავის აშკარა მტრებსაც.

სტოკჰოლმში კამათის ცენტრალური ფიგურა გერმანული სოციალ-დემოკრატია იქნება, როგორც გერმანელთა იმპერია არის მსოფლიო ომის ცენტრი. რამდენათ ძლიერია გერმანულ იმპერიალისტებისადმი სიძულვილი, იმდენათ ძლიერია ინტერნაციონალში ანტიპატია იმ სოციალისტებისადმი, რომელიც გერმანიის მთავრობას მხარს უჭერს. არც ერთ მუხლში ინტერნაციონალის პარტიებს არ აქვთ ისეთი ერთსულოვნობა, როგორც ამაში. თუ ამხანაგ გერმანულ უმრავლესობას სასტიკათ არ სჯიან, ეს იმის გამო, რომ შეთანხმების სახელმწიფოებში უკანასკნელ ხანებში საკმაოთ დიდი შეცდომები ჩაიდინეს კონსერვატორებისა და მილიტარისტების ზედ გავლენით.

სოც.-დემ. პარტიაში.

(მოხსენებიდან).

კარაკლისის ს.-დემოკრატიული ორგანიზაცია დაარსდა ამა 1917 წლის მაისიდან. პირველათ წევრთა რიცხვი შეადგენდა 32 კაცს. აირჩიეს პრეზიდიუმი და დააწესეს საწევრო გადასახადი. დღემდე საწევრო გადასახადი შემოვიდა 100 მ., შემოწირულება 145 მ. შეიძინეს წიგნები წევრებში გასავრცელებლათ. გარდა ამისა, დამფუძნებელ კრების საარჩევნო ფონდისთვის ორგანიზაციამ შეაგროვა 670 მ. 75 კ. კარაკლისის ორგანიზაციას საფუძველი ჩაუყარა უმთავრესათ კარაკლის-ახტალის სამხედრო გზაზე მომუშავე მუშებმა. ორგანიზაციას ძლიერ ცუდ პირობებში მოუხდა მოქმედების დაწყება, ადგილობრივი რევოლიუციონური ორგანიზაციები ცუდათ შეხვდენ მას. მაგ., აღმასრულებელ კომიტეტის წევრებმა დახმარების მაგიერ მიმართეს დაეცალათ ბინა, წინააღმდეგ შემთხვევაში „სკანდალით“ ემუქრებოდენ. მიუხედავათ ასეთ და სხვა ამგვარ ათას დაბრკოლებებისა, წევრთა რიცხვი 56-მდე ავიდა. სამი წევრი დელეგატებათ გაიგზავნა კარაკლისის გარნიზონის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში, რომელთაგან ორი აღმასრულებელ კომიტეტში შედის.

ფოთი. 27 სექტემბერს ს. დ. კლუბში შესდგა ს. დ. საზოგადო კრება. თავმჯდომარემ ლ. კილურაძემ გააკეთა მოხსენება. სხვა კითხვებთან ერთათ კრებას მოესმინა 30 სექტემბერს საოლქო ყრილობის დღის წესრიგი. მომენტისა და ტაქტიკის შესახებ თვით თავმჯდომარემ გააკეთა მოხსენება. კონტრ-მოხსენება გააკეთა ბოლშევიკმა ამხ. შამშე ლეჟავამ. მიღებულ იქნა კომიტეტის რეზოლიუცია.

სოფ. ლანირი (ქუთაისის მაზრა). 23 სექტემბერს მოხდა ლანირის ს. დ. მ. პ. ორგანიზაციის კრება. კრებას დაესწრო 70 წევრი პარტიაში როგორც კაცები ისე ქალებიც იღებენ მონაწილეობას. კრებამ პარტიაში მიიღო ორი ახალი წევრი. შემდეგ დაადგინა, რადგანაც პარტიულ კრებაზე ბევრი საჭირო საქმე ირჩევა, ამისათვის რომელი წევრიც თვეში სამჯერ დააკლდება რაიმე საპატიო მიზეზის გარეშე, პარტიიდან გაირიცხოს. პარტიული კრება იმართება ყოველ შაბათობით. ჯერჯერობით პარტიაში ირიცხება 86 წევრი. მიწის საკითხის შესახებ გადაწყდა მოწვეულ იქნას საზოგადო კრება, ვინაიდან მიწის საკითხი ყველას ეხება. სკოლის შესახებ მოხსენება გააკეთა სკოლის ზედამხედველმა მექი ბოლქვაძემ. გადაწყდა სკოლისთვის დროებით დაიქირაონ კერძო სახლი.

დ. თ.

საჩხერე (შორ. მაზ.). 29 სექტემბერს მოხდა საჩხერის სოც.-დემ. ორგანიზაციის კრება. კრებას დაესწრო ჭიათურის მუშათა საბჭოს წარმომადგენელი ამხ. ვას. ბურჯანაძე. ამხ. ბურჯანაძემ გააკეთა მოხსენება თანამედროვე მომენტზე, ის ვრცლათ შეეხო კორნილოვის გამოსვლას, მის შემდეგ ბურჟუაზიულ ნაწილის მოქმედებას და აგრეთვე პეტროგრადში მომხდარ დემოკრატიულ თათბირს. შემდეგ ამხ. ბურჯანაძემ გააცნო კრებას დამფუძნებელი კრების არჩევნები.

შალიკო ხვადაბუნელი.

მუშათა შორის.

ს. საჭილავო. (სენაკის მაზრა). სორთიავას ხეტყის სახერხავი ქარხნისთვის ხეები მოაქვთ სვანეთიდან ს. საჭილავოში ცხენისწყლით. ამ ქარხანაში მუშაობს დაახლოებით სამასამდე კაცი და გაცილებით ამაზედ მეტი წყალში მუშაობენ ხეების ჩამოსაზიდათ. ზემო აღნიშნულ მუშებს აქვს კავშირი მ. და ჯ. კ. საბჭოსთან ქ. სამტრედიაში. ქარხნის ადმინისტრაციამ ქარხ. მუშებს განუცხადა ორი კვირით ადრე ქარხანას ვკეტავო, მიზეზათ ასახელებდა ხეების უქონლობას და წყლით ხეების ჩამოტანის დროს დიდ წინააღმდეგობას მიწევენ მცხოვრებნიო, მუშები გაფიცულნი არიანო და 15 სექტემბერს განცხადება სისრულეში მოიყვანა და ორასამდე მუშა დასტოვა ულუკმა პუროთ, უმრავლესობა ამ მუშებისა არიან ცოლშვილიანები და მათ არა აქვთ არც ყანა და არც ბოსტანი. ამიტომ არიან უნუგეშო მდგომარეობაში ჩავარდნილი. ქარხ. ადმინ. განცხადებაზე, რომ წყლის მუშები გაფიცულები არიანო, მ. და ჯ. კ. საბჭომ გაგზავნა თავისი წარმომადგენელი გაფიცულ მუშებთან საქმის მოსაწესრიგებლათ. რაც ადმინისტრაციამ ვერ გააკეთა, გაგზავნილმა კაცმა საქმე მოაწესრიგა,—ცოტა ახსნა განმარტების შემდეგ გაფიცვა იქნა მოხსნილი და მუშებმა დიდი თანაგრძნობა გამოუცხადეს მ. და ჯ. კ. საბჭოსთან დასძინეს, რომ ოღონდ რევოლიუციას არ შეეშალოს ხელი და თუ გინდ გვიტყვით, უფასოდაც ვიმუშავებთო, ამ რიგათ, ყოველივე წინააღმდეგობა ჩამოშორებულ იქნა. რომ ქარხნის ადმინ. სურდეს ქარხნის ადრე ამუშავება, ამ ხნის განმავლობაში მას ხეები უკვე ქარხ. ექნებოდა და მუშაობასაც განაახლებდა, მაგრამ სინამდვილიდან სულ სხვა ირკვევა, მისი სურვილია დიდი ხნობით არ აამუშავოს ქარხანა და მით აიძულოს მუშები ყოველივე ბრძოლით მოპოვებული გაუმჯობესებაზე ვარი ათქმევინოს თვით მუშებს, არიქა გვიშველეთ, ოღონდ გვამუშავე და როგორც თქვენ მოგესურვებათ, ისე ვიმუშავებთო, მაგრამ მათი ასეთი ხრიკებით დღეს არავინ მოატყუებია.

ქარხ. ადმინისტრატორი ვითომ და დიდი გულშემატკივარი იყოს ს. საჭილავოს მცხოვრებლებზედ და დირექტორ კარელის ხელმძღვანელობით იქნა დადგმული 1 მოქმედებიანი დრამა შეშლილი და სინემატოგრაფი ადგილობრივ შკოლის სასარგებლოთ. სასცენო დარბაზი იყო მოწყობილი ძალიან ცუდათ, არ ჩანდა სურათები და ხალხში დიდ უკმაყოფილებას იწვევდა, სამაგიეროთ, მშვენივრათ იყო მოწყობილი სათამაშო ლატარეია, ბუფეტი თავისი საქეიფო სტოლებით და ყოველ-გვარ სასმელებით გაიმართა ქეიფი, რასაც მოყვა ჩვეულებრივი აყალ-მაყალი. ვინ იცის, რა უბედურება არ დატრიალდებოდა, რომ აქ არ შეხვედროდა მაზრის კომისარი ამხ. ა. კორძაია. ასეთი წარმოდგენის დადგმა არ შეეფერება თანამედროვე მომენტს და აქაურ კულტურულათ მაღლა მდგომი ხალხის აბუჩათ აგდებაა. საჭიროა ყურადღება მიაქციოს ვისაც ჯერ არს და არ გასცეს ნებართვა ასეთი ხასიათის წარმოდგენის გასამართავათ.

მტრედი.

ფოთი ძლივს გვეღირსა ჩვენც სხვადასხვა სანაოსნო საზოგადოებებში მყოფ მოსამსახურეების კავშირის დაარსება; თუ დღემდე სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობდით და სხვადასხვა გზით ვიდოდით, სამაგიეროთ, დღეს საზოგადოდ გვეძლევა მრავალი საჭირბოროტო კითხვები ჩვენთვის საერთოდ გადაუწყვეტელი. წავიდა დრო ცალ-ცალკე სიარულისა და ძალთა დაქსაქსვისა,—დღეს ყველამ ვიგრძენით ორგანიზაციულ კავშირის შექმნის საჭიროება და ამ ნიადაგზე შევუდექით მზადებას: ავირჩიეთ ადმინ. ორგანო კავშირის მოსაგვარებლათ, სიგზდის მოსაწვევათ და სხ. და სწორეთ ამ დროის ყოველდღიობით აქვს ცენტრალურ საზოგადოებების მოსამსახურეთაგან მოწოდებას და კავშირის წესდებას განყოფილების დასაარსებლათ. ამ მოწოდებამ ჩვენში აღფრთოვანება გამოიწვია, დაჩქარებით მოვიწვიეთ საერთო კრება; რუსის, რომაის და შავი ზღვის საზოგადოებებში მყოფ მოსამსახურეთა კრება შესდგა 2 ოქტომბერს ამხ. დ. მოკუჩავას თავმჯდომარეობით. წესდების გაცნობისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, გაერთიანებული კრება გამოეცხადეთ ფოთის პროფ. კავშირის განყოფილებათ და თანახმად კავშ. წესდებისა, ავირჩიეთ კავშირის ხელმძღვანელი ადმ. საბჭო სამი კაცისაგან: ამხ. კ. გამალოვიძე, ი. კუპუხიძე და ნ. დოლიძე. ერთხმად იქნა არჩეული კავშირის ხაზინადრათ გ. პავონი. დღეიდან შეგვიძლია ითქვას, რომ ჩვენში არსებობს კავშირი და გვაქვს საკუთარი კასა, დღეს ჩვენც გავერთიანდით და წარმოვადგენთ ერთ მთელს შეკავშირებულ ძალას. ამიტომ მოვუწოდებთ ყველა კავშირის წევრთ იმოქმედონ თანხმობით და მიზან-შეწონილათ. კავშირს ჰყავს 55 წევრი, ადგილობრივ კასაში რჩება 50 პროც., ხოლო დანარჩენი 50 პროც. საწევრო გადასახადისა იგზავნება ცენტრალურ კავშირის ბიუროში.

კავშირის ორი წარმომადგენელი (მოკუჩავა და გამალოვიძე) შედიან ადგ. მ. და ს. საბჭოში. კრებას მოეხსენდა, რათა მან გადადოს ნახევარი დღის ჯამაგირი თფილისის მ. და ს. საბჭოს დადგენილების თანახმად დამფუძნებელი კრების არჩევნების ფონდის გასაძლიერებლათ, რაც ერთხმად იქნა მიღებული და ფულიც გადაეცა ადგ. საბჭოს გადასაგზავნათ. იყო კრებაზე სხვა მრავალი კითხვებიც დასმული, მარა კრებამ საბჭოს გადასცა გადასაწყვეტათ და ამით გათავდა პირველი კრება.

ფედიაშვილი.

ხე-ტყის ქარხნების მუშათა გაფიცვის გამო შემდგარმა სამედიატორო სასამართლომ, რომელიც შეიკრიბა 23—24 სექტემბერს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შენობაში თავმჯდომარეობით, პრაპორ. ამირაჯიბის, ბ.ბ. ადელხანოვის, მიკირტუმოვის და ბუაძის მონაწილეობით, დაადგინა დაკმაყოფილების მუშათა მოთხოვნები შემდეგნაირათ: ვისაც დღემდე 100 მან., მიემატოს 50 პროც., 100—120 მ. მიემატოს 45 პროც., 120—140 მან. მიემატოს 40 პროც., 140—180 მან.—35 პროც., 180—და მეტს—30 პროც. მიემატოს მუშებს ჯამაგირები დღიდან მოთხოვნის წარდგენისა. ე. ი. 11 სექტემბრიდან, ამასთანავე მიმატება იანგარიშება იმ ჯამაგირის მიხედვით, რომელიც განისაზღვრა ამა წლის 26 ივნისს. ვინაიდან მუშებს არ უსარგებლნიათ საქმის დასამთავრებლათ ყველა იმ საშუალებებით, რის უფლებასაც მათ 26 ივნისის 1917 წ. ხერხის ქარხნების და მუშებს შორის დადებული ხელშეკრულობა აძლევდა, ამიტომ გაფიცვის დღეების მიეცეს მუშებს ჯამაგირი 50 პროც. დღიდან ამ განაჩენის გამოცხადებისა მუშები ვალდებულნი არიან დაიწყონ მუშაობა. ხელს აწერენ—თავმჯდომარე შანშიევი, წევრები—ამირაჯიბი, ადელხანოვი, მიკირტუმოვი და ბუაძე.

თფილისის საქონლის სადგურის მუშათა ცხოვრებიდან. მგონი არსად ისე ფიზიკურათ არ შეწუხებიან მუშები დღევანდელი მომენტის სიძვირეს, როგორც შეხვდენ მას თფილისის საქ. სადგურის მუშები. მოეწყო ადგილობრივი კომიტეტები, რომლებიც სადგურის აწვრილ დაწვრილ საქმეების მკვიდრ ნიადაგზე დაყენებას შეუდგენ. ძველი მთავრობის ხელში სულ მუდამ ქურდობა და ათასნაირი ბოროტმოქმედებას ჰქონდა ადგილი, არა მგონია, რომ რაიმე დარგში ან დაწესებულებაში იმდენ ბოროტმოქმედებას ჰქონოდა ადგილი, როგორც ეს გავრცელებული იყო საქონლის სადგურზე. იყვნენ ისეთი მუშებიც, ეკონომიურათ შევიწროვებულნი, რომლებიც იღებდენ ამ გამათახსირებელ ქურდობაში მონაწილეობას. დამყარდა თუ არა ახალი წყობილება, სადგურის მუშებმა უპირველესათ მიაქციეს ყურადღება ქურდებს და საქონლის სადგური გასწმინდეს მავნე ელემენტებისაგან. შესდგა ადგილობრივი კომიტეტი, დაარსდა პროფესიონალური კავშირი, აირჩიეს კომისიები, რომ თვალ-ყური ადევნონ მავნე პირებს და აღმოფხვრან ქურდობა და სხვა გამათახსირებელი ზნე-ჩვეულება. ასეთი ზომებით მიზანს მიაღწიეს. ქურდობა თითქმის მოისპო. ჟურნალ-გაზეთების გავრცელებას და გათვითცნობიერებისთვის ცდას აქაურ მუშებში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. არ შემიძლია არ აღვნიშნო ზოგიერთი პატარა დაბნეული ვაჟბატონების საქციელი: გამოდიან ესენი და თითო ორიოლა პირზე ათასნაირ ჭორებს ავრცელებენ. დროა შეჩერდეთ, თორემ ბოლოს გვიანღა იქნება. მივმართავ მუშებს არ აყვენ ამნაირ პირებს და დაიცვან და გაამაგრონ ეს ახალი ნორჩი თავისუფლება.

საშა ჩიგოგიძე.

ჯარის-კაცთა წერილები.

ჯარისკაცთა საყურადღებოთ. დღეს „ოტპუსკები“ ყველგან აკრძალულია. ზოგიერთი ჯარისკაცები „ოტპუსკით“ სარგებლობენ შემდეგ ნაირათ: ვისაც მოუვა სახლიდან რაიმე გაჭირვების ამბავი ან უბედური შემთხვევის, რომელიც უნდა იქნეს დამოწმებული და ბეჭედ დასმული ადგილობრივ კომისარის ანუ ორგანიზაციის სახელით, ასეთ პირებს ეძლევათ მოკლე ვადიანი თავისუფლება. ასეთი საშუალებით სარგებლობენ ზოგიერთი ამხანაგები, მაგრამ, სამწუხაროთ, ვინც წავიდა, უკან აღარ ბრუნდებიან. ალბათ ემატებიან დეზერტირების ლაშქართ.

ამხანაგებო! ვინც ისარგებლებთ ზემოაღნიშნულ „ოტპუსკებით“, დაბრუნდით თავის დროზე და მიეცით საშუალება სხვა ამხანაგებს ისარგებლონ საჭირო დროს.

ფერშალი სიმონ მეხუზლა.

ს. ძიმითი (გურია). 3 ოქტომბერს შუადღის 12 ს. დეზერტირ პლატონ ხინთიბიძე რამოდენიმე პირთა თანახლებით თავს დაესხა ამავე საზოგადოებაში მცხოვრებ სოლომონ გოგუაძეს და მოსტაცა 18 წლის ქალიშვილი. ამის შესახებ 4 ოქტომბერს ლანჩხუთიდან გაიგზავნა საქმის გამოსაძიებლათ კომისარი რამოდენიმე მილიციონერებით, საჭიროა ასეთ პირებს საზოგადოებამ ყურადღება მიაქციოს და ღირსეული პასუხი გასცეს.

ჯარისკაცი გიგო სიხარულიძე.

ქ. ერზერუმი. თავზარი დაგვცა ამხანაგ ბიქტორ ფილიპეს ძე დოლიძის უდროოთ გარდაცვალებამ. ბიქტორ დოლიძე დიდი ხანია ერთგულად ემსახურებოდა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას. ერზერუმის მოწინავე ამხანაგები გამოესალმენ სამუდამოთ ერთგულ, მშრომელ ამხანაგს. 4 ოქტომბერს გადაცილდა ბიქტორის გვამი სადგურზე სამშობლოში გასამგზავრებლად, დაუვიწყარი იქნება მისი ხსოვნა ამხანაგებში.

ჯარისკაცი სტეფანე არჯ. რამიშვილი.

გათავდა სამი წელიწადი და მეოთხეში ვდგავართ, რომ ამ უმაგალითო მსოფლიო ომის წყალობით იწვის ქვეყანა და მრავალი მილიონობით საწყალი მშრომელი ხალხი აუტანელ მძიმე უღელს ატარებს, ჩვენი ჯარის ნაწილს პოზიციიდან საზამთროთ აბინავებენ ზურგში. ამისთვის რამდენიმე ჯარისკაცები და აფიცრებიც გაგზავნილ იქნენ საზამთრო ბინის მოსაძებნათ, მგზავრობა მომიხდა რკინის გზით ქალაქ ალექსანდროპოლამდი და ბევრი უწესოება და გაუგებრობა ვიხილე მგზავრობის დროს ჯარისკაცებიდან, რაიც მიეწერება მათ შეუგნებლობას. ზოგიერთ რკინის გზის სადგურებში ჯარისკაცები ვაჭრობას ეწევიან გამოაქვთ რკინის გზის სადგურებში გასასყიდათ ხილი, მასთან მრავალი სხვა წვრიმალი საქონელი, ეს კი ჩემის აზრით, არ შეშვენის—რომ ჯარისკაცები გზაში ვაჭრობას ეწეოდენ. თუ იმდენათ ზედმეტი არის დღეს ჯარები, რომ საჭიროება არ თხოულობს, ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ვისგანაც ჯერ-არს. და ისეთი ჯარების ნაწილები, რომლებიც არავითარ საქმეს არ აკეთებენ, უნდა განთავისუფლებული იქნენ და უფრო სარგებლობას მოუტანენ საზოგადოებას, რადგანაც სოფლებში მუშა ხელი შეემატება და მეტი საქმე გაკეთდება.

ჯარისკაცი ერმილე მკუხელი.

ს. ენიქოი. (ოსმალეთი). სოფელი გნაქეი მოშორებულია ქ. ერზერუმზე სამოცი ვერსით. აქ იშვიათად ნახავთ ხის ან ქვის სახლებს. მცხოვრებლები ცხოვრობენ მიწაში (ამოთხრილია მიწა, შიგ ამოშენებულია უბრალო ყორე, ზევიდან მიწა წაყრილი). აქ ხე და ან სხვა რამე მცენარე ან ბალახი არ მოიპოვება. მთელი მინდვრები სულ ქვით არის დაფარული. აქ არავითარი პირნახული არ მოდის ძლიერი სიცივის და ყინვის გამო. ხშირად არის უზომო ქარ-ბუქი, წვიმები სულ ნაკლებად მოდის.

სამკელი გრიშა.

ჩვენ, ქართველი ჯარისკაცები, რომელნიც ორი წელი გავიდა, რაც ავსტრიის ფრონტზე ვმსახურობთ ქვეითი მოქმედ ჯარში, 652 პოლოცკი დრუჟინაში, სიშორის გამო დიდ მწუხარებაში ვართ ჩავარდნილი, ერთი იმიტომ, რომ ვერ ვღებულობთ სახლიდან გამოგზავნილ წერილებს. იკარგება მშობლების გამოგზავნილი ფული და „პასილკები“. ეხლა ვერც ჩვენი მშობლები ტყობილობენ ჩვენს ამბავს და ისინიც შეწუხებულნი არიან.

ჩვენ, აქ მყოფ ქართველებს ყველაზე მეტად სამწუხაროთ ის გვაქვს, რომ ვერ ვტყობილობთ ახალ ამბებს ჩვენი ქვეყნისას ისე ვართ მოწყვეტილი ყველაფერს. ამის გამო ჩვენ არა ერთხელ მივეცით თხოვნა ჩვენი ბრიგადის უფროსს, რომ გამოგვეშვით ჩვენი სამშობლოს დასაცველათ კავკასიის ფრონტზე, მაგრამ ჩვენი თხოვნა არასოდეს არ გასცილებია დრუჟინის უფროსს იქეთ.

ამ დრუჟინაში ვიმყოფებოდით 400 ქართველი, ეხლა ვართ 200 მდე, დანარჩენნი ზოგი ავათ გახდა და ლაზარეთში გაგზავნეს.

დ. ტუღუში.

პროვინციის ცხოვრება

დ. ჩოხატაური. აქაური მეეტლეების თავაშვებულობას რომ საზღვარი არ აქვს, ეს ყველასათვის ცხადია. მათთვის არ არსებობს არავითარი ნორმა, არავითარი კანონი. მგზავრიც იძულებულია დაეთანხმოს, რადგანაც მეტი საშუალება არ აქვს. სხვა მხრითაც მეეტლეების უმრავლესობა ჩამორჩენილი არიან. მათ გასართობს შეადგენს ლოთობა, ქაღალდის თამაში, მგზავრებთან ჩხუბი და სხვ. ეს არაერთხელ ყოფილა ჩვენს გაზეთში აღნიშნული: საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს თვით შეგნებულმა ნაწილმა მეეტლეებისა და აგრეთვე ჩოხატაურის მცხოვრებლებმაც.

ხალ-ხანი.

სად. ჯუმათი. შესდგა ჯუმათის მომხმარებელ საზოგადოების „შეღავათის“ წევრთა კრება. წინდაწინ მოწვეული იყვნენ თფილისიდან მაღაზიის საანგარიშოთ და წარმოების წესდების თანახმად დასაყენებლათ ინსტრუქტორები გრ. გიგინეიშვილი და სერაფიონ რამიშვილი. მოხსენება გააკეთა გრ. გიგინეიშვილმა. მან აღნიშნა მთელი რიგი ნაკლულოვანება-მოუწესრიგებლობა, რაიც მიეწერება გამგეობის არ ცოდნას და ურჩია საზოგადოებას, აირჩიონ გამგეობაში ისეთი პირები, რომელნიც დაინტერესებული არიან საზოგადო საქმით და მასთან ცოდნაც ხელს უწყობთ. მომხსენებელმა საჭიროთ დაინახა ასეთ დიდ დაწესებულებაში, სადაც ათასობით დღეში შემოსავალ-გასავალია, მოწვეულ იქნას მუდმივი მცოდნე მოანგარიშე. რჩევა კრებამ მიიღო. ანგარიშის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ს. რამიშვილმა. გამოირკვა შემდეგი:

აქტივი:

კასაში ფული . .	21964 მ.	88 კ.
საქონელი . .	39600 „	
ინვენტარი . . .	2779 „	49 „

პასივი:

სპაიო ფული . . .	13010 „	
საწევრო-სათადარ. თანხა.	1803 „	
მობარებული ფული. .	40425 „	90 „
მოსაგები გასასყიდ საქონელზე . .	9067 .	66 „

გამოირკვა, რომ მიმდინარე 1917 წელს იანვრიდან 30 აგვისტომდე მოგება მაღაზიას 4989 მ. 96 კ. ანგარიში კრებამ დაამტკიცა და მთელი მოსაგები გადარიცხა საწარმოვო თანხაში. შემდეგ კრებამ აირჩია 4 კაცისაგან შემდგარი ბიურო, რომელსაც დაევალა გამგეობის და სარევიზიო კომისიების არჩევა. კრებამ დაადგინა მიეცეს გამგეობის წევრებს ყველას შრომის ფასათ წელიწადში 1200 მ. კოოპერატივის სხვა მოსამსახურეთათვის შესაფერი ჯამაგირის დანიშვნა გამგეობას მიენდო. ათი წელია, რაც ეს კოოპერატივი დაარსდა. ამ ჟამათ 600 მდე წევრი ჰყავს. მიუხედავათ იმისა, რომ მას საკმაო თანხა აქვს, სამწუხაროთ, ის ამ ხნის განმავლობაში ნაქირავებ სახლშია მოთავსებული, საკუთარი შენობის აგებისათვის ერთხელაც არ აღძრულა კითხვა საზოგადო კრებაზე. აუცილებელი საჭიროა კოოპერატივისათვის საკუთარი შენობის აგება. კოოპერატივში მოიპოვება ფართლეულობა, საგალანტერეო და სხვა საქონელი. მას აქვს სახარაზო განყოფილება, ნავთის ბაკი, რომელიც იტევს 1200 ფუთ ნავთს, ფურნე, შაქრის და სიმინდის საწყობი და სხვა.

„მაკაშვილი“.

ცნობები

ჯარის კაცების შესახებ.

სექტემბერში 1917 წ. ბრძოლის ველზე მოკლულ იქნა ძვირფასი ამხანაგი ჩვენი ქართულ მსროლელ პოლკის მ-13 როტის ჯარისკაცი სამსონ სტეფანეს ძე ხუხუა (მცხ. ზუგდ. მაზ. სოფ. (ცაიშის), რასაც ვაცნობებთ მშობლებს და ნათესავებს.

ფერშ. პიპიკო პანტურია.

— ჯარისკაცი ილია (ოლიკო) მეგრელიძე მსახურობდა კავკასიის დივიზიაში მე-84 სამხედრო სანიტარულ ტრანსპორტში. წარსულ მარტის აქეთ მისი ამბავი არაფერი ვიცით. ვინც რაიმე იცოდეს მის შესახებ, მაცნობოს ან გაზეთის „ერთობის“ საშუალებით ან და შემდეგის მისამართით: ლეჩხუმის მაზ. სოფ. [illegible] იაგორ მეგრელიძეს.

— გთხოვ გამოაცხადოთ მშობლების საყურადღებოთ, რომ გარდაიცვალა ჯარისკაცები ქართველთა მსროლელ პოლკის მე-10 როტის გიორგი გოგიბერიძე, მცხოვრები ქუთაისის მაზრის სოფ. შუხუთი და 2) გერასიმე გაგნიძე მცხოვრები რაჭის მაზრის სოფ. შკმერის; პირველი გარდაიცვალა აგვისტოს რიცხვებში, ხოლო მეორე სექტემბერში.

ჯარისკაცი იაკი ჯაბუა.

მარქსისტ-მოწაფეთადმი.

თფილისის კოლექტივი ამიერ კავკასიის მარქსისტ მოწაფეთა კავშირისა სთხოვს პროვინციელ ამხანაგებს შეატყობინონ მას დაწვრილებითი ადრესი ადგილობრივ კოლექტივთა ბიუროებისა შემდეგი მისამართით: Тифлисъ, Удѣльная ул № 3. 6-ая мужская гимназія, Бюро тифл. колл. С. У. М. З.

ოზურგეთის

გაზეთის აგენტურა გადმოეცა 1 სექტემბრიდან მ. ზ. თალაკვაძეს. ვისაც გაზეთების გამოწერა უნდა მიმართონ ხსენებულ პირს. ვთხოვ ყველა იმ პირებს, რომლებსაც გაზეთი გამოწერილი ქონდა და ფული არ გადაუხდიათ შემოიტანონ დაჩქარებით თალაკვაძესთან. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული გავხდები მათი სახელი და გვარი გაზეთებში გამოვაცხადო.

ვ. ბ. ღლონტი.

ქალთა ექიმი

მამულაიშვილი-ხოდნევისა

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე გარდა კვირისა. ოლღას ქ. № 22.

ექიმის თანაშემწე

ვლ. ი. თავართქილაძე

ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყვავილის აცრა, კანს ქვეშ წამლის შეშხაპუნება, მასსაჟი და ელექტრიზაცია. ტექნიკური ქუჩა, № 4

ექიმის თანაშემწე

ვანო საათაშვილი

ღებულობს ავადმყოფებს საღ. 4—6 ს.-მდე.— ვენერიულ-სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებით, ნერვებით აშლილთ, სიფილისიანთ, ციებიანებს და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხ.

მისამართი: ფასანაურის შესახ. № 3, (1-ლი სამილიციო ნაწილი). (24—14)

ექიმი

დ. ი. ქორდანია

ღებულობს ავადმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობით, სპეციალურათ ქრონიკული მალიარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—6 საათამდე გარდა სამშაბათისა. გერის ქუჩა № 6 (დიდუბე)

ექიმი გ. მ. მუხაძე

ღებულობს [illegible] ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; [illegible] ხაზ. შენობის პირდაპირ, სახ. ხვამლიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი კ. ი. მგარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფებს იღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა.

ქსენოფონის ქუჩა, № 4, სასტუმრო [illegible] გვერდით. ტელეფ. 15—00.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღეს 3—5 ნახ. საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიკაშვილის ქუჩა, № 19.

ექიმი

დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე კვირას გარდა, საღ. 5—7 საათამდის. გუნიბის ქ. № 41.

გრძელდება ხელის მოწერა 1917 წლისათვის გაზეთ

ერთობა-ზე.

გაზეთი ღირს როგორც თფილისში, ისე პროვინციაში:

ერთი თვით—2 მან. 60 კაპ., ორი თვით—5 მან. 20 კაპ., სამი თვით—7 მან. 80 კაპ., ოთხი თვით—10 მან. 40 კაპ. ცალკე ნომერი ყველგან 12 კაპ. ხელის მოწერა მიიღება ყოველი თვის პირველი რიცხვიდან. ადრესის შეცვლა პროვინციელ ხელის-მომწერთათვის 1 მანეთი. **გაზეთის ფასი ხელის მოწერ. წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიათ არავის გაეგზავნება.**

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтовый ящикъ № 199., редакція „Эртоба“.

თბილისში ხელის მოწერა მიიღება ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებში.

[illegible] № 1.